



შირაკი

SHIRAKI

გამოცემის 1937 წლიდან
დადოგლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№38 (9.847)
6 - 13 ოქტომბერი 2018 წელი
ფასი: 50 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა

**ქვემო ქალის სკოლა
პროფესიული უნარების
განვითარების
პროგრამაში ჩართო** **გვ. 5**

**ჭაიშ აკატურაი - იქნება
MAP-ი, იქნება საქართველოს
NATO-ში გაწევრიანება** **გვ. 3**

ავროპული ღღაობი მუხაბეში




გვ. 6

70 წლის იუბილა და 45 წელი გავშვებთან ერთად...



გვ. 2



გვ. 4

**„იხადი არის
უნაძღვრობა,
დაინახო ნათელი
იქ, სადაც ჯერ
ქიდავ ბნელია“**


უფასო სამედიცინო აქცია — მოქალაქეთათვის!

„დედოფლისწყაროში საკმაოდ ბევრი პაციენტი გამოვლინდა, რომელიც გადაუდებელ მკურნალობას საჭიროებს...“



გვ. 5

ალბერტინას მუზეუმი ნიკო ფიროსმანაშვილის გამოფენას უმასპინძლებს



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, ვენის ალბერტინას მუზეუმში ნიკო ფიროსმანაშვილის გამოფენას უმასპინძლებს. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, 5 ოქტომბერს, 11:00 საათზე, დიმიტრი შვეარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში პრეს-კონფერენცია გაიმართა.

ლონისძიებებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილე მიხეილ გიორგაძე და ეროვნული გალერეის მმართველი ეკა კიკნაძე გაუძღვებიან. პრესკონფერენციას, ასევე დაესწრებიან წამყვანი ავსტრიული მედიასაშუალებების წარმომადგენლები, რომლებიც თბილისს, ქართული კულტურის გაცნობის მიზნით სტუმრობენ.

„NIKO PIROSMANI — A Wanderer Between Worlds“ - ამ სახელწოდების ნიკო ფიროსმანაშვილის გამოფენას ვენის ალბერტინას მუზეუმი 2018 წლის 26 ოქტომბრიდან 2019 წლის 27 იანვრამდე უმასპინძლებს. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იქნება მხატვრის 29 ნამუშევარი საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის კოლექციიდან, ასევე, 1972 წელს, პარიზში, ილია ზდანევიჩის მიერ ხელნაკეთი ნიგნი, სახელწოდებით „ფიროსმანაშვილი 1914“. აღნიშნულ ნიგნში შესულია პაბლო პიკასოს მიერ შესრულებული გრაფიურა „ფიროსმანის პორტრეტი“.

ვენაში, ალბერტინას მუზეუმში ნიკო ფიროსმანაშვილის გამოფენა, მხატვრის გარდაცვალების 100 წლისთავს ეძღვნება. პროექტის ფარგლებში, ასევე პირველად გამოიფინება ცნობილი იაპონელი არქიტექტორის ტადაო ანდოს მიერ სპეციალურად შექმნილი მაგიდა სახელწოდებით „Table Of Pirosmani“, რომელიც, სწორედ, მხატვრის სსოვნას ეძღვნება.

გამოფენის მთავარი მიზანია ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედებისა და ქართული კულტურული მემკვიდრეობის ფართო საზოგადოებისთვის გაცნობა.

ეურადდება!

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მუხლი 50.2-ის განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, გაზეთი „შირაკი“ ყველა საარჩევნო სუბიექტს დაუთმობს საგაზეთო ფართს პოლიტიკური რეკლამისათვის. 28 ოქტომბრამდე გაზეთი „შირაკი“ ყოველკვირეულად, თითოეულ ნომერში საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატებს გაზეთის ფართს დაუთმობს, რომელიც განკუთვნილი იქნება ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის და თანაბრად გადანაწილდება ყველა საარჩევნო სუბიექტზე. ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილი გაზეთის ერთი გვერდის ფასი კი 150 ლარით განისაზღვრება.

**„ბალონი“
მონაწილე
მოსწავლეები
შეარჩიეს**

გვ. 8



უცვლელი 27...

„ბოლომდე ვიბრძობები, ვიდრე შეგვიძლია და თუ სიკვდილი ვიწვევია, არც ეს უნდა იქონიოს დიდი ტრავმა, ისეთი ბიჭები იხსენიებენ, რომ მსვლია ამის შემუშავება სი- ცოცხლეზე იფიქრო. რას იხამ, ბედისწერას ვერ გაქცევია“.

ქიქული შარტაძე, 26 სექტემბერი, 1993 წ.

25 წელი...

25 წელია გვახსოვს...

25 წელი გვაშორებს იმ თარიღს, რომელმაც საქართველოს ისტორია მთლიანად შეცვალა...

25 წლის წინ, 13 თვისა და 13 დღის ბრძოლების შემდეგ დატყვევებული და ნარბეხული სოხუმი გვახსოვს...

ეს ის 25 წელია, რომლის განმავლობაში ადამიანების ტვივილი არ ნელდება და მგონია, რომ არც განელდება. ეს სწორედ ის მოუშუ- შებელი იარაღი, რომელსაც ვერაფერს უხერხებ, მიუხედავად იმისა, რამდენად ძლიერ გინდა მისი მოშუშება. თავს უსუსურად და უმწეოდ გრძნობ.

1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმი დაეცა. სოხუმის დაცემას წინ ცეცხლის შეწყვეტი- სა და სამხედრო ტექნიკის კონფლიქტის ზო- ნიდან გაყვანის შესახებ შეთანხმება უძღვოდა, რომელიც სოჭში, 27 ივლისს დაიდო ორ მხარეს შორის.

შეთანხმება მხოლოდ 16 სექტემბერამდე გაგრძელდა. ის სეპარატისტებმა, ჩრდილო კავკასიიდან დაქირავებულმა მებრძოლებმა, კახაკთა მილიციის შენაერთებმა და არაოფი- ციალურად, გუდაუთაში განლაგებული რუ-

სეთის სამხედრო ბაზის შენაერთებმა მამინ დაარღვეეს, როდესაც ფართომასშტაბიანი იერიში მიიტანეს სოხუმზე. სოხუმზე, სადაც ფაქტობრივად ქართული ჯარის მცირერიცხ- ვიანი შენაერთები იყო დარჩენილი.

ბრძოლებმა შედეგად 30,000-მდე ადამი- ნის სიცოცხლე შეინარა და 300,000-მდე ადა- მინიც დევნილად აქცია. დევნილი საკუთარი მინიდან, მხარიდან, ქალაქიდან, ისევ საკუთარ ქვეყანაში და ისევ საერთო მინაზე. მარცხს, მთავრობის სახლის წინ, არ გაქცეული მთა- ვრობის დახვედრა, მთელი აფხაზეთის ტერი- ტორიის დაკავება და ქართველების ეთნიკური წმენდა მოჰყვა.

სოხუმი დაეცა. ჩვენ არასოდეს წარმოგვედგინა საქართვე- ლო აფხაზეთისა და აფხაზეთის გარეშე. ჩვენ ხომ დღემდე ძალიან კარგად ვიცით, რომ ქართულ-აფხაზეთი ურთიერთობები გუშინ არ დანაშაულებია. ჩვენს წარსულში ყოველთვის იყო აფხაზეთი, ანუ მთავარი არის და მომავალ- ში იქნება. დატყვევებული სოხუმი, მიტაცებული ტერიტორიები, კრემლის მზაკრული გეგმა ძმთა მკვლელობის წამოსახლება - ამ ჩა- მონათვალის გაგრძელება უსასრულოდ შეი- ძლება, რადგან დღეს რეალურად მხოლოდ ერთი რამ იცვლება: თაობა, რომელმაც ეს ყველაფერი გადმოცემით იცის, გადმოცემით ტყვეება ათონის, ბიჭვინთისა თუ რინის ტბის სილაში. თაობა, რომელსაც ერთნაირად უნურავს გულს ზღვაში, გემზე პატრონს გა- კიდებული ძალის კადრი და სოხუმში, მთა- ვრობის სახლის წინ ავტომატით მოცეკვავე

ჯარისკაცი.თაობა, რომელსაც არ განუცდია, მაგრამ ცდილობს გაიზიაროს იმ ადამიანების ტვივილი, რომელსაც 25 წლის წინ გამოქცეუ- ლი, დამინებული, უღელტეხილზე სასიკვდი- ლოდ განწირული ადამიანები გრძნობდნენ. რა თქმა უნდა, არ არსებობს სიტყვები, რომელიც იმ დღეებში ამ ადამიანების მიერ განც- დილ ტვივილს აღწერს.

ამასთან ერთად, საამაყო, იყო თაობა, რომელსაც აფხაზეთის, სოხუმის დაბრუნების მორალური პასუხისმგებლობა დაეკისრეს. ჩემი თაობისთვის, აფხაზეთი და სოხუმი მი- თითვითა, რომელსაც აქვს შესაძლებლობა, რეალობად იქცეს. ვიცით, რომ ის ჩვენია. ვი- ცით, რომ აუცილებლად უნდა დავიბრუნოთ. დავიბრუნოთ მათთვის, ვისაც იქ ყოფნის მხოლოდ მოგონებები დაუტოვეს. დავიბრუ- ნოთ ჩვენთვის, ყველასთვის. დავიბრუნოთ ის, რაც ნაგავრთვეს, ის, რაც ყველაზე საუკუ- თესო გვექონდა. აღვადგინოთ ის ჩატყვნილი ხიდი და საამაყო უერთიერთობები, რომელიც საუკუნეების განმავლობაში აერთიანებდა ორ, ერთმანეთისთვის ძვირფას ხალხს. ერთად და- ვგმობთ ის რუსული ოკუპაცია, ყოველდღე უფრო და უფრო რომ გვაშორებს ერთმანეთს.

დღეს იქ, სადაც ზევა შორია, ზემოთენ „დამოუკიდებლობას“, ჩვენ ახალგაზრდა ჯა- რისკაცების საფლავებს ყვავილებით ვამკობთ. დღეს, ლურჯი მთების ძირში, თეთრი თოლია ისევ სერავს უკიდევანო სივრცეს - ჩვენ ისევ უკიდევანო ტვივილის 25-ე წელი დავითვალეთ.

დღეს, ამინდის პროგნოზმა ისევ გა- მოატყდა მზიანი აფხაზეთი - დღეს ჩვენთან ისევ მოწვიმა.

ნეტავ, როგორ თენდება სოხუმში?

შუშუნა ყანჩაშვილი

27 სექტემბერი

„ამაშინ, ოთხმოციან წლებში ბიჭვინთში ვიყავი მწერალთა შეკრებაზე და აფხაზეთიდან ბევრი ჭრელი მოგონება წამოვიყოლე.“

მეუბნება ჩემი ბერლინელი მეგობარი, რომელიც მხოლოდ ერთხელ იყო კავკა- სიაში.

-მართლა? -იოცებ და ენის წვერზე მაღვას რომ დღეს 27 სექტემბერია, რომ დღეს ჩვენი დამარცხების სექტემბე- რია,

მაგრამ არ მიყვარს დამარცხებებსე სმამალადი ლანარაკი და ველაპაე სიტყვას,

ენის წვერზე უიღბლოდ მომღვანს. რიცხვი 27 ჩადის ჩემს ფილტვებში,

ტყვიანავით დნება და აღვიძებს 25 წლის წინანდელ სველას,

რომელიც უნივერსიტეტის ბაღში, ზეტრე მელიქიძის ძეგლთან ავფივარდა მე და ჩემს ჯგუფს,

როცა გავიგეთ, რომ სოხუმი დაეცა! ჩვენ გვეცვა იმ დღეს „ლევინის“ ჯისნები (მეტი მაინც არაფერი იშოვებოდა იმ

დროს), ვიყავით შემოდგომისფრად ღამაწები და სველიანები

და ვახვივით ვეყვით ერთმანეთს, და ვახვივით ვტიროდით, რომ ვერ გადავარჩინეთ აფხაზეთი,

რომ აფხაზეთი ახალგაზრდულად გულბერევილო ხელებში ჩავაკვდა!

ირმა შიოლაშვილი

70 წლის იუზილი და 45 წელი გავშვებთან ერთად...



მეცნიერული ტექნოლოგიების არნახულ- მა განვითარებამ, გონებრივი შრომის გა- ფართობამ და ფიზიკურ დატვირთვათა გაზრდებულმა ზრდამ თავისთავად მიიყვანა კაცობრიობა ცხოვრების ფანასალი წესის შენარჩუნების აუცილებლობამდე. ასეთ პი- რობებში, ცხადია, განუზომლად იზრდება სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის როლი და დანიშნულება, რომელთა მთავარი ფუნქციაა მოსწავლეთა აღზრდა ფიზიკური სივანსაღისადმი სწრა- ფვის სულისკვეთებით, ვინაიდან, სწორედ ეს განაპირობებს ფიზიკური აქტივობისადმი დადებითი, ჰარმონიული დამოკიდებულების გამოუმუშავებას, რაც საბოლოოდ ადამიანის ცხოვრების წესად უნდა იქცეს. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის პედა- გოგიური მიმართულებას საფუძვლად უდევს ორი უმთავრესი მოტივი — ბავშვების სიყვარული და ფიზიკური კულტურისადმი ინტე- რესი. სწორედ ამ ორი უმთავრესი ნიშნით შევარჩიეთ ჩვენი დღევანდელი რესპოდენტი, ქედლოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლე- ბელი, ქალბატონი დალი ბანაშვილი, რომელსაც სულ ახლახანს 70 წლის იუბილე მიულოცეს კოლეგებმა.

მოკლე ბიოგრაფიული ცნობები: დაიბა- დე 1948 წელს ქ.წითელწყაროში. 1966 წელს დაავამთავრე პირველი საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩავირიცხე ფიზიკური კულტუ- რის ინსტიტუტთან არსებულ მწვრთნელთა სკოლაში, რომელიც წარჩინებით დაავამთავრე 1968 წელს. ამავე წელს, როგორც წარჩინე- ბული, ერთი გამოცდით მიმიღეს საქ. სახელ- მნიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში. 1972 წელს ასევე წარჩინებით დაავამთავრე ინსტიტუტი და სამუშაოდ დავბრუნდი მშო- ბლოურ სკოლაში, სადაც უკვე 45 წელია, ვმუშაობ, 1980 წლიდან ვმუშაობდი ასევე ბა- ვშვთა სასპორტო სკოლაში სასწავლო ნაწი- ლის გამგედ 20 წელი და შემდეგ კალათბურ- თის მწვრთნელ-მასწავლებლად. როგორც მასწავლებელი, მონაწილეობას ვღებულობდი ზემდგომი ორგანოების მიერ ჩატარებულ პე- დაგოგთა შეჯიბრებებში, ვარ რაიონის მრავალ-

ვალგზის ჩემპიონი მასწავლებელთა შორის მაგიდის ჩოგბურთში, კახეთის ზონაში პირ- ველი ადგილი დავიკავებ ჩვენი რაიონის გუნდმა წარდში. ჩემი ოჯახი მონაწილეობას ვიღებდით საოჯახო სპარტაკიადებზე „დედა, მამა, შვილი“. 1984 და 1989 წელს გავხდით საქართველოს ჩემპიონები. 2014 წელს მუ- ნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა დამაჯილდოვა საპატიო სიგე- ლით“ მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდა- განათლებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის“.

— მოგიყვებით თქვენი პედაგოგიური გა- მოცდილების თაობაზე...

— მუშაობა რომ დავიწყე სკოლაში, ძა- ლიან კარგად მიმიღეს აქ მომუშავე ფიზკულ- ტურის მასწავლებლებმა-დავით გოგაშვილ- მა, შოთა ტოკლიკიძემ და გულანმარ იაკობიშვილმა. განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშა ჩემი პროფესიის არჩევაში დავით მასწავლებელმა.

— თაობებს შორის რა სხვაობებს ხე- დავთ, თუნდაც თქვენი საგნისადმი დამოკი- დებულება თუ არის სასიკეთოდ შეცვლილი მოსწავლეების მხრიდან?

— დღევანდელობასა და ადრინდელ დროს შორის რომ ვაგლებ პარალელს, ახლაც არიან ძალიან მონდომებული ბავშვები, მა- გრამ ახალ თაობას დროს უემარისობა აქვს, ამიტომ ძალიან ცოტა დრო რჩებათ სპორ- ტისთვის, რაც, თავისთავად, არ არის კარგი, პირველ რიგში, მათივე ჯანმრთელობისთვის.

— ყველა ვიანხმებებით, რომ დღეს ჯან- სალი ცხოვრების წესი უმთავრესია ადამიანის სულოდ და ფიზიკური ზრდა-განვითარე- ბისათვის, თქვენ როგორ ახერხებთ ბავშვების დარწმუნებას?

— გეთანხმებით, რომ ჯანსაღი ცხოვრე- ბის წესი დღეს უმთავრესია ყველასთვის, განსაკუთრებით კი მოზარდი თაობისთვის. ხშირად ვესაუბრები ბავშვებს სიგარეტის, ალკოჰოლის მავნებლობაზე, ვურჩევ, გაერ- თიანდნენ მათთვის საინტერესო და სასურ- ველ სპორტის სახეობებში. დღის განმავლო- ბაში დრო დაუთმონ სუფთა ჰაერზე ვარჯიშს, სეირნობას...

— გაიხსენეთ სკოლასთან დაკავშირებუ- ლი მნიშვნელოვანი მოვლენები...

— მნიშვნელოვან მოვლენებს რა ჩა- მოთვლის, მაგრამ, რამოდენიმე მათგანს მაინც გამოვყოფდი. გასულ წელს მოსწავლე- თა სასკოლო სპარტაკიადებზე კახეთის ზო- ნაში დავიკავებთ პირველი ადგილი ვაჭვით ფერებურთში და მინი-ფეხბურთში. ჩვენ სიხარულს საზღვარი არ უქონდა. ამავე წელს გავხდით აღმოსავლეთ საქართველოს ჩემპიონები ფერებურთში, მოვიპოვეთ თასი და ფინალიში მოვეუბეთ ისეთ ძლიერ გუნდს, როგორიც იყო ქ.რუსთავის გუნდი. არასო- დეს დამავინყდება დილით, სკოლის ეზოში მისულ გუნდს როგორი შეხვედრა მოგვი- ყო სკოლის დირექტორმა, მასწავლებლე- ბმა და მოსწავლეებმა- ფეიერვერკებით და

ტაშის გრიალით შეგვაცილეს კარებში, ამან გამარჯვების სიხარული გავვითარეცა. გვექო- ნია დამარცხების ცრემლის გამოცდილება, მაგრამ, ეს ხომ სპორტია და წაგების გარეშე გამარჯვების ფასს ვერ გაიგებ...

— როგორც მოსწავლეს, მიყვარდით თქვენც და თავს კომფორტულად ვგრძნობ- დით თქვენს გაკვეთილებზე, ასე იყო მთელი ჩემი კლასი, ვიცი, რომ დღემდე ინარჩუნებთ მოსწავლეთა ნდობასა და სიყვარულს, როგორ ახერხებთ?

— არათავმდებლობაში ნუ ჩამომართმე- ვთ და ჩემი მუშაობის პერიოდში არ მახსოვს განსაკუთრებული კონფლიქტი მომსგლო- და ბავშვებთან. კიდევ გავბრაზებულვარ გაკვეთილზე, მიმიცია შენიშვნა ბავშვისთვის, ეს გაბრაზება იქვე, იმ გაკვეთილზევე მთა- ვრდება, რადგან ძალიან მიყვარს ბავშვები და უპირატესობას ურთიერთობაში მეგო- ბრულ დამოკიდებულებას, თანასწორობის განცდას ვამიყვებ, ვთამაშობ მათთან ერთად ...მათგან სიყვარულს ვგრძნობ. დიდი ბედ- ნიერებაა, როდესაც მოსწავლე დაგხვდება კონზე, დარბაზთან, მოგხვება და გეტყვის, რომ უნდა გაკოცოთ, ძალიან მიყვარხართ, ამ დროს ენერგია მისამდება, სიხარულით ვივსები და ამას სიტყვებით ვერ გადმოვცემ ასე ზუსტად...

— რას მიიჩნევთ თქვენთვის მთავარ გა- მონწეველ საგაკვეთილო პროცესში?

— ალბათ, არა მარტო ჩემი, პედაგოგების მთავარი გამოწვევა მოსწავლეების მხრიდან მობილური ტელეფონების მასიურად ტარე- ბაა, რომელმაც ბავშვებს ინტერესი დაუკარ- გა სწავლისაც, თამაშისაც და ვარჯიშისაც.

— გაიხსენეთ თქვენი ყოფილი კოლეგები...

— დიდი სიყვარულით ვისხენებ ჩემს საყვარელ მასწავლებლებს და კლასის ხელ- მძღვენებს დავით გოგაშვილს, მან შემეყვარა სპორტი. იგი სულ ახლახანს წავიდა ამ ქვეყნი- დან. ჩემი უშუალო კოლეგა, გულანმარ იაკო- ბიშვილი, რომელთან ერთადაც ვიმუშავე 39 წელი. ის კიდევ დიდხანს იცოცხლებდა, თვა- ლის ოპერაცია რომ არ გაეკეთებინა. მან თა- ვისი სიცოცხლე ჯანსაღი ცხოვრების წესით იცხოვრა. ძალიან დაგვიყვებოდა გული მისმა გარდაცვალებამ. ვიზიარებ მისი ოჯახის უსა- ზღვრო ტვივილს.

— და ბოლოს, რას გვეტყვი თქვენს სა- მომავლო გეგმებზე...

— ჩემი უახლესი სამომავლო გეგმა არის გავხდე სურთიფიცირებული მასწავლებელი, საგანი ორი წელია ჩაბარებული მაქვს, ზო- გად უნარებსაც ჩავაბარებ, რადგან სპორტუ- ლი ჟინი მაქვს ასეთი და ამ დაბრკოლებასაც გადავლახავ...

— მაღლობა საინტერესო საუბრისთვის, გისურვებთ წარმატებებს თქვენი გეგმების განხორციელებაში და კიდევ ერთხელ გილო- ცავთ საბილო თარიღს და მასწავლებლის დღეს!

სტატიაზე მუშაობისას სკოლის დირე- ქტორმა და პედაგოგებმა სურვილი გამო-

თქვეს, დალი მასწავლებელზე ესაუბრათ და თავიანთი პატივისცემა და სიყვარული გა- მოეხატათ ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან.

ქმირა მოსარაშვილი - დალი ბენაშვილი უკვე ათეული წლებია ემსახურება ამ რთულ და საპასუხისმგებლო საქმეს. ჩვენ უკვე 25 წელი ერთ სკოლაში ვმოღვაწეობთ, მას წლე- ბი ვერაფერს აკლებს და დღესაც ისეთივე მხნე და ენერგიულია, აქტიურადაა ჩართუ- ლი სასკოლო, სარაიონო თუ რესპუბლიკურ სპორტულ ოლიმპიადებსა და ნებისმიერ ღონისძიებაში. ჩვენმა მოსწავლეებმა მისი თაოსნობით მონაწილეობა მიიღეს „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2017“-ში და ჯერ აღმოსავლეთ საქართველოს ჩემპიონატში (ფერებურთში) პირველი ადგილი და თასი მოიპოვეს, ხოლო რესპუბლიკურ ტურში მეო- რე ადგილი. ასეთი წარმატებები უამრავია დალი მასწავლებლის და მისი მოსწავლეების ცხოვრებაში. წარმატებით მინდა ვუსურვო მას, როგორც პროფესიულ, ასევე პირად ცხოვრებაში.

მასილ სვიმონიშვილი - მეათე კლასში ესწავლობდი, როდესაც დალი მასწავლე- ლი გავიცანი. საკმაოდ იშვიათი მოვლენა ამ პერიოდისთვის-ახალგაზრდა მასწავლებელი და თანაც ქალბატონი. პირველი დღიდან- ვე დავემგობდი დალი მასწავლებელთან, ეს მეგობრობა მომდევნო წლებში კოლე- გიალობით განვამტკიცეთ. მეგობრობა და თანამშრომლობა დღემდე გრძელდება. იგი ჩვეული ენერგიითა და ენთუზიზმით განაგრ- ძობს ახალგაზრდობთან მუშაობას, ვუსურვებ კვლავაც წარმატებებს.

სამბა ლომიძე-ათეული წლებია, ურ- თიერთობა მაქვს დალი მასწავლებელთან. მიმანჩია, რომ იგი არის არამხოლოდ თავისი საქმის პროფესიონალი, არამედ საუკეთე- სო კოლეგა, მეგობრული, ერთგული და გა- მტანი, გაჭირვებაში ზურგს არ შეგაკცევს, სიხარულსაც მენტან ერთად გაიზიარებს... ძნელია, დღეს ასეთი ადამიანების არ დაფა- სება და მსხის ხელაღდან გამშვება, რომ რაც შეიძლება ახლოს გყავდეს...

გელა ქიქელიაშვილი-დალი მასწავლე- ბელი უარესად პოზიტიური პიროვნებაა, რომელთანაც ურთიერთობა ადვილია, მეგო- ბრულია, რჩევების მოცემა შეუძლია, მასთან თავს თავისუფლად გრძნობ, ყველა დიდ პა- ტივს სცემს, ბავშვებს ძალიან უყვართ, თა- ვისი საქმის პროფესიონალია და ამიტომაც აქვს ასეთი მიღწევები. პირველად, მეოთხე კლასში ვიყავი, ოგალებზე ვარჯიშის დროს დავინახე, გაოცებული დავრჩი, ჰაერში იყო და ის მთაბეჭდილება დღემდე მომყვება- ალტაცებას ვერ ფარავს ქალბატონი ბელა.

რედაქცია უერთდება პედაგოგთა პა- თოსს და კიდევ ერთხელ ვულოცავთ დალი მასწავლებელს ამ მნიშვნელოვან თარიღს, მასთან ერთად ყველა პედაგოგს ვულოცავთ მასწავლებლის დღეს, წარმატებებს და ჯან- მრთელობას ვუსურვებთ მათ.

ელზა ხარაშვილი

ჯეიმს აპატურაი - იქნება MAP-ი, იქნება საქართველოს ნატო-ში განხორციელება

3 ოქტომბერს ბრიუსელში ნატო-ს თავდაცვის მინისტრული ბაიხსნა. რას უნდა ველოდეთ ნატო-საქართველოს თანამშრომლობისგან და რა პერსპექტივები გვაქვს ევროატლანტიკური ინტეგრაციის კუთხით, ამ საკითხებზე ნატო-ს ბენარაშვილი გიორგის სპეციალური წარმომადგენელი კავასიასა და ცენტრალურ აზიაში ჯეიმს აპატურაი საუბრობს.

— ნატო-ს გენერალურმა მდივანმა მინისტრიალის ფარგლებში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ საქართველო მომავალში ნატო-ს წევრი გახდება, როდესაც ნატო-ს მოთხოვნებსა და სტანდარტებს დააკმაყოფილებს, თუმცა, ჩემი აზრით და ეს ასევე ქართული საზოგადოების დიდი ნაწილის აზრით, საქართველომ ნატო-სკენ მიმავალ გზაზე გაცილებით მეტს მიაღწია და მეტი გააკეთა, ვიდრე ნატო-ს ზოგიერთმა ახალმა წევრმა ქვეყანამ. ხომ არ გგონიათ, რომ საქართველოს განხორციელება ნატო-ში არა ტექნიკური, არამედ პოლიტიკური გადაწყვეტილების საკითხია? იქნის სტრატეგიკული შიშები დასამსახრებელი ვახსენე, რომ გერმანიის კანცლერის, ანგელა მერკელის განცხადებით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები ერთგვარ შემადგენელ გარემოებას წარმოადგენს საქართველოს ნატო-ში სწრაფ განხორციელებასთან დაკავშირებით. თანხმებით თუ არა იმ მოსაზრებას, რომ საქართველოს ნატო-ში განხორციელება პოლიტიკური საკითხია და ალიანსის ზოგიერთი წევრი ქვეყანა რუსეთის პოზიციას ითვალისწინებს ამ საკითხთან მიმართებაში?



— ჩვენ გვაქვს სიტუაცია, რომელიც საქართველოს გეოპოლიტიკური კონტექსტი გაცილებით რთულია, ვიდრე ნატო-ს ზოგიერთი წევრი ქვეყნის. თუმცა, როდესაც ალიანსის წევრებმა ბუქარესტში გადაწყვეტილება მიიღეს, რომ საქართველო ნატო-ს წევრი გახდება, მათ ეს გეოპოლიტიკური კონტექსტი ესმოდათ. შემდეგ, მოგესხენებათ, რომ 2008 წლის აგვისტოს მოვლენებს ჰქონდათ ადგილი. ამ პერიოდის დაწყებული ალიანსის წევრებმა იცინა, რომ საქართველოს აქვს ეს პრობლემა, რომ რუსული ჯარი საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული. მიუხედავად ამ მოცემულობისა, ისინი ყოველ სამიტზე ან მინისტრიალზე იმეორებენ, რომ საქართველო გახდება ნატო-ს წევრი და რომ ისინი მხარს უჭერენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს. ალიანსის წევრებმა კარგად იციან თუ რა გამოწვევების წინაშე დგას საქართველო, მაგრამ მიუხედავად ამისა მხარს უჭერენ თავიანთ პოზიციას. მეორე მომენტი ის არის, რომ ნატო-ს თითოეულმა წევრმა უნდა დააკმაყოფილოს გარკვეული სტანდარტები, ვიდრე ალიანსში განხორციელება. ჩვენ საქართველოსთან ერთად ვმუშაობთ რეფორმებზე, რათა უზრუნველყოთ ის რომ, როდესაც პოლიტიკური გადაწყვეტილება მიღებული იქნება, საქართველო მზად იყოს; რომ არ გვექონდეს სიტუაცია, როდესაც პოლიტიკური ნებაა წინ წავინით განხორციელების კუთხით, მაგრამ საქართველო მზად არ არის სტანდარტების კუთხით. ჩვენ ასეთი სიტუაცია არ გვქვია. ჩვენ არსებით და მნიშვნელოვან დახმარებას ვუწვევთ საქართველოს და იმ რეფორმებს, რომელსაც საქართველო

ახორციელებს. მესამე მომენტი ის არის, რომ ნატო-ს ახალი წევრის წევრობამ არა მხოლოდ წვლილი უნდა შეიტანოს ნატო-ს უსაფრთხოებაში, ასევე წვლილი უნდა შეიტანოს ფართო ევროატლანტიკურ უსაფრთხოებაში. ეს ნატო-ს წესდების მე-10 მუხლში წერია. შესაბამისად, ალიანსის წევრები უფრო ფართო კონტექსტს უყურებენ. მართებულია თუ არა, რომ რუსეთს ვეტოს უფლება აქვს? რა თქმა უნდა, არა. რუსეთი ეწინააღმდეგებოდა მონტენეგროს ნატო-ში განხორციელებას. მოგესხენებათ, რუსები იმყოფებოდნენ მონტენეგროში, რომლებიც გეგმავდნენ არეულობას არჩევნების დღეს. ისინი ქვეყნიდან გააძევეს და მათ მონტენეგრო რუსეთის სამთავრობო თვითმფრინავით დატოვეს. ჩვენ კარგად ვიცით, რომ რუსეთი ნატო-ში მონტენეგროს განხორციელებას ეწინააღმდეგებოდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ მივიღეთ მონტენეგრო ნატო-ში. იგივე ხდება ახლა მაკედონიასთან მიმართებაში. მიუხედავად რუსეთის პოზიციისა, ალიანსის კარგად ღია რჩება.

— თუმცა, იგივე მონტენეგროს და საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა არ არის ერთი და იგივე და ალიანსის წევრები ითვალისწინებენ ამ ფაქტორს გადაწყვეტილების მიღებისას...

— რა თქმა უნდა, ითვალისწინებენ, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ისინი მხარს არ უჭერენ ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილებას. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა ის ფაქტორი რომ იყოს, რომელიც ალიანსის წევრებს შეაჩერებდა, მაშინ ისინი არ მიიღებდნენ იმ გადაწყვეტილებას, რომელიც მიიღეს და არ გამეორებდნენ, რომ საქართველო ნატო-ს წევრი გახდება და ისინი ამ პოზიციას კვლავ და კვლავ იმეორებენ.

— მართალი ბრძანებით, როდესაც ამბობთ, რომ ნატო-ს წევრები ყოველ მინისტრიალზე, ყოველ სამიტზე იმეორებენ იმას, რომ საქართველო ალიანსის წევრი გახდება. თუმცა, ეს ერთგვარ ზოგად დაპირებად გამოიყურება, ვინაიდან საუბარი არ არის საქართველოს ნატო-ში განხორციელების რაიმე კონკრეტულ და დეტალიზირებულ გეგმაზე. საუბარი მაქვს MAP-ზე. დღევანდელ მოცემულობაში ჩვენ გვაქვს ზოგადი დაპირება, რომ ნატო-ს წევრები გავხდებით, თუმცა როდესაც საქმე MAP-ს ეხება, რაც კონკრეტულ გეგმას წარმოადგენს, აი, აქ უკვე პრობლემები გვაქვს, ვინაიდან ნატო-ს ზოგიერთი წევრი, საფრანგეთი, გერმანია, მხარს არ უჭერს საქართველოსთვის MAP-ის მინიჭებას. როგორ ახსნიდით ამ დღეისთვის, როდესაც ერთი მხრივ, გვაქვს ზოგადი დაპირება, თუმცა როდესაც საქმე კონკრეტულს ეხება, საქართველოს უარს ეუბნებიან?

— არ ფიქრობ, რომ ეს მაინცდამაინც დელაიზაციაა. ვფიქრობ, მნიშვნელოვანია განვასხვავოთ MAP-ი, როგორც პრაქტიკული ინსტრუმენტი და MAP-ი, როგორც პოლიტიკური ნაბიჯი. როგორც პრაქტიკული ინსტრუმენტი, შემიძლია გითხრა, რომ ფაქტობრივად, არანაირი განხილვები არ არის MAP-სა, რომელიც საქართველოს არ აქვს და ეროვნულ წლიურ პროგრამას შორის, რომელიც საქართველოს აქვს. პრაქტიკული თვალსაზრისით არანაირი განხილვები არ არის. ამიტომაც, ჩვენ საჯაროდ განვაცხადეთ, რომ საქართველოს ყველა პრაქტიკული ინსტრუმენტი გააჩნია, რათა ალიანსის წევრი გახდეს.

— თუმცა, ივლისის ნატო-ს სამიტის დეკლარაციაში წერია, რომ საქართველო ნატო-ს წევრი მხოლოდ MAP-ის შემთხვევაში გახდება...

— დიხ. მეორე მომენტი ის არის, რომ MAP-ი ასევე წარმოადგენს პოლიტიკურ ნაბიჯს. ამ ეტაპზე ჩვენ არ გვაქვს კონსენსუსი საქართველოსთვის მის მინიჭებაზე. ჩვენ პრაქტიკულ ნაბიჯებს ვდგამთ და საამისოდ ყველა ინსტრუმენტი გვაქვს. დადგება მომენტი, როდესაც პოლიტიკური ნაბიჯები გადადგმული იქნება. წევრობა



ბამდე იქნება MAP-ი და ეს აუცილებლად მოხდება. ახლა რაც შეგვიძლია არის ის, რომ პრაქტიკული ინსტრუმენტები და ყველაფერი ის, რაც წევრობისთვის მოსაზრებად დასაყდრებელია, გამოვიყენოთ. იქნება MAP-ი, იქნება განხორციელება, თუმცა არ ვიცი როდის. არავინ იცის ეს.

— თუ საიდუმლო არ არის მითხარით, როდესაც ალიანსის წევრები საქართველოსთვის MAP-ის მინიჭების საკითხს განიხილავენ, რა არგუმენტები მოჰყავთ მათ, ვინც ამას ეწინააღმდეგებიან?

— რასაც ისინი ამბობენ არის ის, რომ MAP-ი არ უზრუნველყოფს უსაფრთხოების გარანტიებს. უსაფრთხოების გარანტიებს მხოლოდ ნატო-ში წევრობა უზრუნველყოფს. ისინი შიშობენ იმის რისკს, რომ პოლიტიკური ნაბიჯის გადადგმა, როგორც არის MAP-ის მინიჭება, პოტენციურად გაზრდის რისკს საქართველოსთვის რუსეთის მხრიდან.

— ანუ, MAP-ის არმინიჭებით ჩვენ რუსეთის მორიგი აგრესიისგან გვიცავენ?

— ეს საქართველოსთვის რისკებს ზრდის იმის გათვალისწინებით, რომ უსაფრთხოების გარანტიები უზრუნველყოფილი არ არის MAP-ით. ეროვნული წლიური პროგრამის ფარგლებში ჩვენ საქართველოს წევრობისთვის მომზადებამი ვებმარებით და ამავდროულად პოლიტიკურ რისკებს არ ვზრდით. დადგება მომენტი, როდესაც MAP-ი და განხორციელება იქნება. ალიანსის ზოგიერთი წევრი მიიჩნევს, რომ ეს მომენტი დადგა, ზოგიერთი კი მიიჩნევს, რომ ეს დრო ჯერ არ დამდგარა. თუმცა, ჩვენ გვაქვს კონსენსუსი ნატო-ს საქართველოში და საქართველოს ნატო-ში ყოფნის გაღრმავებაზე.

— რუსეთის საფრთხის ფაქტორი არსად გაქრება. რუსეთის მხრიდან რისკები ყოველთვის იქნება და ჩვენ ამას საქართველოში მუდმივად ვგრძნობთ. ამ ვარაუდიდან გამომდინარე უახლოეს მომავალში MAP-ს არ უნდა ველოდით?

— არ მინდა ვარაუდებით საუბარი. თქვენ მკითხეთ, თუ რატომ ყოყმანობს ზოგიერთი ქვეყანა საქართველოსთვის MAP-ის მინიჭებასთან დაკავშირებით. მე გიპასუხებთ ამ კითხვაზე. ეს პასუხი ემსახურება იმას, რომ საქართველოს ნატო-ში წევრობისთვის დადგინდეს პრაქტიკული თვალსაზრისით და საქართველოს უსაფრთხოების შენარჩუნებით და ნატო-ს სტანდარტების დაკმაყოფილების დახვეწით. ამის უკან კეთილი სურვილი დგას.

— რუსეთის თემას მინდა შეეხებო. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ და თავდაცვის უწყებამ ბოლო დროს აღმოჩენა გამოხატეს საქართველოში ლუგარის ლაბორატორიასთან დაკავშირებით. აბსოლუტურად უსაფრთხოებლო ბრალდებები იყო გაკეთებული, რომ თითოეულმა სახიფათო ბიოლოგიურ ექსპერიმენტებს აქვს ადგილი ლუგარის ლაბორატორიაში. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ამგვარი განცხადებებით რუსეთი მორიგ პროვოკაციას ამზადებს საქართველოს წინააღმდეგ?

— ამ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციას არ ვფლობ, თუმცა შემიძლია ვთქვა, რომ ყველასთვის კარგად ცნობილია რუსეთის დეზინფორმაციის ტაქტიკა - როდესაც რამეში გადანაშაულებენ, იგივე დადანაშაულო სხვა. ბოლო თვეების

განმავლობაში ჩვენ ვიხილეთ რუსეთის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენება. დიდ ბრიტანეთში ადგილი ჰქონდა მკვლელობის მცდელობას. ამიტომაც, რუსეთის მხრიდან ამგვარი ბრალდებების წამოყენებით გაოცებული არ ვარ. ეს რუსეთი დეზინფორმაციული ტაქტიკის ნაწილია.

— საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები ახლოვდება. რას მოელოთ საქართველოს ახალი პრეზიდენტისგან ნატო-საქართველოს ურთიერთობების კონტექსტში?

— პირველ რიგში, მთავარია არჩევნების ჩატარება. ამ კუთხით საქართველოში ჩვენ ვხედავთ განუხრელ გაუმჯობესებას. მოველით, რომ არჩევნები კარგად ჩატარდება. როგორც გამოკითხვები აჩვენებს, ქართველ ხალხს დასავლური ღირებულებები აქვს, მათ სურთ ევროატლანტიკური სივრცის ნაწილი იყვნენ და წვლილი შეიტანონ ჩვენს ერთობლივ უსაფრთხოებაში. ეს არის ზოგადად ქართველი ხალხის სურვილი. მე ვერ ვეტყვი საქართველოს პრეზიდენტს თუ როგორ უნდა მოექცეს. თუმცა, რაც ვახსენე, ეს არის ის ფართო კონსენსუსი, რომელიც ქართულ საზოგადოებაშია მიღებული. რაც შემიძლია ვთქვა არის ის, რომ ვინც არ უნდა იყოს საქართველოს პრეზიდენტი, ჩვენ მასთან მჭიდროდ ვიმუშავებთ.

— ყოველ ჯერზე, როდესაც ვესაუბრები ნატო-ს წარმომადგენლებს, დასავლელ დიპლომატებს, მეუბნებიან, რომ საქართველო რუსეთს უნდა დაუპირისპირდეს დემოკრატიული ინსტიტუტების, კანონის უზენაესობის და დასავლური ღირებულებების გაძლიერებით. თუმცა, პრაქტიკული თვალსაზრისით, როდესაც რუსეთთან დაპირისპირება გინება, როგორც ეს 2008 წელს იყო, საქმე მხოლოდ სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებაში არ არის. შენ გიპირისპირდება უზარმაზარი სამხედრო მანქანა. ასეთ სიტუაციაში, როდესაც საქართველოს ნატო-ს წევრობა და შესაბამისად უსაფრთხოების გარანტიები არ აქვს, ჩვენ არ გვაყვარს მოკავშირეები, ვისაც ჩვენი დაცვის ვალდებულება აქვთ. შესაბამისად, რას უნდა ელოდოს საქართველო თუ ადგილი ექნება რუსეთის მორიგ აგრესიას?

— რა თქმა უნდა, რუსეთის ძალები უზარმაზარად აღემატება საქართველოს რესურსებს. თუ რისი გაკეთება შეიძლება ახლა არის შეიარაღებული ძალების ხარისხის გაუმჯობესება, მათ შორის თავდაცვისუნარიანობის გაუმჯობესება. ნატო-ს მხარდაჭერით ეს მუდმივად ხდება. ნატო-ს ზოგიერთი წევრები საქართველოს აწვდიან თავდაცვით შეიარაღებას. მაგალითად, აშშ-ს მიერ საქართველოსთვის „ჯაველინის“ მინიჭება. 2008 წელთან შედარებით საქართველოს შეიარაღებული ძალების მდგომარეობა და პროფესიონალიზმი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, ასევე გაიზარდა ოპერატიული გამოცდილება. საქართველოს თავდაცვისუნარიანობა გაცილებით ძლიერია, ვიდრე აქამდე იყო. გვესურს ყველას გავაგებინოთ და პირველ რიგში ეს რუსეთს ეხება, რომ ჩვენ საქართველოში ვართ, რომ ჩვენ სოლიდარობას ვუცხადებთ საქართველოს, რომ ჩვენ არ მივიღებთ რუსეთის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს.

„იმედი არის შესაძლებლობა, დაინახო ნათელი იქ, სადაც ჯერ კიდევ ბნელი“

შეზღუდულ შესაძლებლობებზე საუბრისას საზოგადოების უმეტესობას თავაღნი უფრო ადამიანი წარმოუდგება. ადამიანი, რომელიც ვერაფერს აკეთებს და უფრო მეტიც, სიბრაღის საჭიროებს. მაგრამ აუცილებელია იმის თქმა, რომ პირიქით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ძალიან მრავალფეროვანი და ნიჭიერები არიან. ხელოვნება, სპორტი, განათლება - ადამიანის მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროს თვალს რომ გადაავლოთ, აუცილებლად შეგხვდებით ადამიანები, რომლებიც ეტლით ფარიკაობენ, ერთი ხელით უკრავენ სხვადასხვა მუსიკალურ ინსტრუმენტზე, დარბიან ერთი ფეხით და ა.შ. ისინი ძალიან შეუპოვრები და მებრძოლი ადამიანები არიან, რომლებიც არ დანებდნენ და ცხოვრება გააგრძელებს. იბრძოლებს იმ ბარიერებისა თუ ცხოვრებისეული სირთულეების წინააღმდეგ, რაც მათ ცხოვრებამ მოუშვადა. ბევრჯერ თქმულა და კიდევ ერთხელ შევასხენებთ ჩვენს მკითხველს, რომ შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს. არსებობს შეზღუდული გარემო, რომელსაც ისევ საზოგადოების მიერ შექმნილი ხელოვნური ბარიერები ქმნის. გაზეთ „შირაქის“ დღევანდელ სტუმარს ბევრი თქვენგანი უკვე იცნობს, მის შესახებ რამდენჯერმე გაიმბობდით. მაგრამ, როგორც შევიტყუეთ, მის ცხოვრებაში სიახლეებია.

ჩვენი რესპონდენტი ბიორბი სიზანიშვილია. ის შესანიშნავი მაგალითია იმისა, რომ შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს და ადამიანი თვითონ ადგენს საკუთარი შესაძლებლობების ზღვარს. ადამიანი და ის გარემო, რომელშიც მას უწევს ყოფნა. გიორგიმ ორივე ხელი ბავშვობაში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად დაკარგა. როგორც გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას ამბობს, ამით მისი ცხოვრება არ დამთავრებულა, პირიქით, ბევრი ახალი ინტერესი გაუჩნდა. ინტერესი მეტის აღმოჩენის, შესაძლებლობების გაფართოვების.

— გიორგი, გვიამბე ცოტა რამ შენს შესახებ...

— 1994 წლის 20 ოქტომბერს დავიბადე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფელ არბოშიკში. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წელი თბილისში მომინია ცხოვრება და სწავლა, ბოლოს მაინც სოფელში დაბრუნდი და განათლების მიღება არბოშიკის საჯარო სკოლაში განვაგრძე. სწავლის დასრულების შემდეგ ჩავაბარე თბილისის სასულიერო სემინარია—აკადემიაში, რომელიც ერთი წლის წინ ხელოვნებათმცოდნეობის განხორციელების მიზნით დაფუძნდა.

— ალბათ, ბევრი ადამიანი ინტერესდება შენი მდგომარეობით. რა მოხდა იმ დღეს, როგორ დაკარგე ორივე ხელი და რამდენად გახსოვს ის მომენტი?

— მაშინ 9 წლის ვიყავი. 2003 წლის 30 დეკემბერი, ახალი წლის სამზადისი იყო და ისევე როგორც ყველა, ჩემი ოჯახიც შესაბამისად ემზადებოდა დღესასწაულის აღსანიშნად. ბიძაჩემს გავყევი თავისთან და იქ მოხდა ეს. ვფიქრობ, უმეტესობის და დაუფიქრებლობის გამო. მე და ჩემი და ვთამაშობდით ტრაქტორთან, რომელსაც ე.წ „ცისტერნა“ ჰქონდა და მიბმული. ის ნაწილი, რომლითაც გადაბმული იყო „ცისტერნა“ და ტრაქტორი, ძალიან სწრაფად ტრიალებდა. ერთ მხარეს ვიდექი მე, მეორე მხარეს კი ჩემი და. ამ ნაწილთან ჩავარდა ჯოხი, რომლითაც ვერთობოდით. ამოსაღებად ხელი ჩავყავი და იმ ნაწილმა ჩამითრია. მეორე ხელიც მივახმარე და ასე დაკარგე ორივე კიდური. დღესაც ძალიან კარგად მახსოვს ის მომენტი, რადგან საავადმყოფომდე გონება არ დამიკარგავს. მანამ სანამ ნარკოზი არ გამიკეთეს.

— შენს ცხოვრებაში არსებობს თუ არა ადამიანი, რომელმაც ყველაზე დიდი გავლენა იქონია შენზე და სახლში ჩაკეტვის მაგივრად, პირიქით, გარეთ გამოსვლისა და წინსვლის მოტივაცია მოგცა?

— რა თქმა უნდა, ჩემს ცხოვრებაში იყო ასეთი ადამიანი — დედაჩემი! თუმცა, მინდა აღვნიშნო, რომ თითოეული მეგობრის გვერდში დგომა ჩემთვის იყო და დღემდე არის უდიდესი სტიმული.

— ალბათ, უამრავი კითხვა გიტრიალებდა გონებაში. რომელ კითხვებზე მიიღე, ან ვერ მიიღე პასუხი?

— რა თქმა უნდა, ბევრი კითხვა მიტრიალებდა თავში. რატომ? რისთვის? რატომ მე? ამ და სხვა კითხვებს პასუხი გაცეცა, თანაც ადრევე. ჩემი ცხოვრებიდან გამომდინარე მივხვდი ყველაფერს. იმისთვის, რომ დღეს მე ასეთი

ვყოფილიყავი, როგორც ახლა ვარ და არა სხვანაირი — აი, ამიტომ მოხდა ეს. სხვებისგან განსხვავებით, მე არასდროს მქონია და დღესაც არ მაქვს განცდა, რომ რაიმე უსამართლოდ მოხდა.

— ამ შემთხვევის შემდეგ 15 წელი გავიდა. რომელი იყო ყველაზე რთული პერიოდი და როგორ უმკლავდებოდი მას?

— ყველაზე რთული საწყისი ეტაპი იყო. ამ შემთხვევას თან დაერთო გარდატეხის ასაკი. ჩემთვის ეს რამდენიმე წელი დიდი და რთულად გადასალახი იყო. გაღიზიანებული და დაძაბული ვიყავი. ამ რთული პერიოდის გადატანაში დიდი როლი ეკლესიამ, მეგობრებისა და ახლობლების გარემოცვამ შეასრულა. როდესაც გვერდით საკუთარი მოძღვარი გყავს, განუგებებს და მეგობრებზე ყველანაირად გეხმარებიან, გვერდში გიდგანან, რალაცებს უფრო ნაკლებად განიცდი. ფიქრისთვისაც ნაკლები დრო გრჩება, იმედინად ხარ და რწმენაც უფრო გიძლიერდება.

— შეგცვალა თუ არა ამ 15 წელმა?

— ზოგადად, დრო რომ გადის, ადამიანი, იცვლება, როგორც გარეგნულად, ისე შინაგანად. რა თქმა უნდა, შევიცვალე. ჩამოვყალიბდი, გავერკვიე საკუთარ თავთან და უფრო მეტად განვითარდი. როცა წლები გადის, შენც უკვე თავისუფლად იღებ გადაწყვეტილებებს, ბევრ რამეს აანალიზებ, მოვლენებს სხვა კუთხით უყურებ. ალარც დაძაბული და გაღიზიანებული ხარ.

— როგორც ვიცი, სპორტით ხარ



დაკავებული. რატომ გადაწყვიტე, რომ სპორტში მოგესინჯა ძალები?

— რამდენიმე წელია, სპორტში ჩავერთე. თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრი რომ შეიქმნა, თავდაპირველად, ცურვით დავიწყე. მალევე შევწყვიტე და პარა—ტაექვანდოს ფედერაციაში გადავედი. ვვარჯიშობ აქტიურად და სამომავლო გეგმებიც ნელ-ნელა ისახება. ახლო მომავალში ვგეგმავთ მსოფლიო პარა—ტაექვანდოს შეჯიბრზე გასვლას. თუმცა, თავიდან მხოლოდ „ტრენაჟორებზე“ დავიწყე ვარჯიში, უბრალოდ ჯანსაღი ცხოვრების წესისთვის, ვერ წარმოვიდგენდი, ასე თუ ჩამითრევდა. ჩემთვის ეს ცხოვრების სრულიად ახალი ეტაპი და გამოცდილებაა.

— როგორია გიორგი სიზანიშვილის ერთი ჩვეულებრივი დღე?

— მას შემდეგ, რაც გიდად დავიწყე მუშაობა ნიკოლოზ ბარათაშვილის მემორიალურ სახლ-მუზეუმში, რომელიც თბილისის მუზეუმების გაერთიანებას ეკუთვნის, უკვე ასეთია: დილით სამსახურში მივდივარ, სადაც ძალიან ბევრ ადამიანთან თუ ჯგუფთან მიწევს ურ-

თიერთობა. შემდეგ აუცილებლად ვარჯიშზე გავდივარ, კვირის განმავლობაში ხშირად ვხვდები მეგობრებს და სხვადასხვა ღონისძიებაზე მივდივარ. შეიძლება ითქვას, რომ ჩემს ერთგვარ ტრადიციადაც იქცა კულტურულ შეხვედრებზე დასწრება. დღის ბოლოს კი დალლილი ვბრუნდები სახლში.

— აქტიური ცხოვრებით ცხოვრობ. რა პრობლემებს აწყდები?

— პრობლემა ისაა, რომ სახელმწიფო მებრძობა მხოლოდ პენსიით, 180 ლარი ჩემთვის და, ზოგადად, შშმ პირებისთვის არასაკმარისია. სამწუხაროა ასევე საზოგადოების დამოკიდებულება. მეექვსე წელია უკვე, თბილისში დამოუკიდებლად გადავადგილდები და საზოგადოება ვერ შეეგუა იმას, რომ არ გიყურონ, არ მოგაჩერდნენ, ან არ გკითხონ, რა და როგორ მოგივიდაო. შეზღუდული შესაძლებლობის პირები არ ვართ მიღებული, როგორც საზოგადოების რიგითი წევრები, არ ალგვიქამენ ჩვეულებრივ ადამიანებად, რომლებსაც იმის კი არა, იმაზე მეტის გაკეთება შეუძლიათ, რაც მათ. გაჩერებაზე ბევრჯერ ცოცხლადაც დამიტყრეს. სოციალური სხვადასხვა სახის და თანაც ბევრი პრობლემაა, რისთვისაც სახელმწიფომ აქტიურად უნდა იმუშაოს სხვადასხვა კუთხით, მიმართულებით, იმისთვის, რომ ამაღლდეს საზოგადოების ცნობიერება.

— ჩოხოსანთა საზოგადოების წევრი ხარ, რამდენად მნიშვნელოვანია ეს სტატუსი შენთვის?

— ჩოხოსანთა საზოგადოებაში მისმა ხელმძღვანელმა, ჩემმა თანასოფელმა და დიდმა მეგობარმა, ზვიად სეხნიანივილმა გამაწვევინა. ჩოხოსნები უწმინდესი, ილია II-ის გვერდით დგანან და ატარებენ ჩვენი ქვეყნის ეროვნულ სამოსს. ვფიქრობ, შეუძლებელია იყო ქართველი, ჩოხას ატარებდე და ეს პატივად არ მიგაჩნდეს. ჩემთვის ძალიან სასიხარულო და საამაყოა, ის ფაქტი,



— როგორ უნდა ირწმუნო საკუთარი თავისა და იმ შესაძლებლობების, რაც ყოველ ადამიანს გააჩნია?

— იმისათვის, რომ ადამიანმა საკუთარი თავის ირწმუნოს, საჭიროა, საკუთარი „მე“ სხვადასხვა გზით და კუთხით გამოსცადოს. ვფიქრობ, რაც ადამიანს შეუძლია, ის უნდა აკეთოს. თუმცა, ხშირად არ ეწყობა ადამიანს ცხოვრება და საქმე, მაგრამ სწორედ სირთულეებისა და ბარიერის დაძლიების შემდეგ ხვდები, თუ რა შეგიძლია და აანალიზებ, რომ იმაზე მეტი შეგძლება, ვიდრე ამას წარმოიდგენდი. შემდეგ უკვე თავდაჯერებული ხარ და შენი თავის მიმართაც მეტი რწმენა გაქვს.

— რა არის შენთვის ცხოვრების არსი, რით იზომება ბედნიერება?

— ჩემი ცხოვრების არსი სწორად ცხოვრებაა. გზა, რომელიც ჩემი გასავლელია, მინდა, სწორად გავიარო. ადამიანს ბედნიერებას სხვადასხვა რამ ანიჭებს, ეს ინდივიდუალურია. ჩემთვის, ბედნიერება წვრილმანებიდან იწყება, წვრილმანებით იზომება. ბედნიერი ვარ, როცა ჩემს ირგვლივ ყველა კარგადაა და არაფერი უჭირთ.

— რას ეტყვი ადამიანებს, რომლებიც შენს მსგავსად აწყდებიან პრობლემებს, რას ურჩევდი შენს თაობას?

— ყველა შშმ პირმა უნდა გააანალიზოს თავისი პრობლემა. მესმის, რთულია, მაგრამ ყველამ უნდა აძლიოს ის დაბრკოლება და ბარიერი, რაც აწუხებს. იცხოვრონ ჩვეულებრივად, როგორც ყველამ. ნუ გაჩერდებიან ერთ ადგილზე, არ დაკარგონ დრო დარბზე და იმაზე ფიქრში, რასაც უკვე ალარ ეშვება.

— რით ხარ გატაცებული?

— მიყვარს ფოტოების გადაღება, ამიტომაც გადავწყვიტე ფოტოაპარატი შემიძინა. ბევრი მეუბნებოდა, რად გინდაო, მაგრამ მე მაინც ვიყიდე. კისერზე ვიკეთებ და უკვე ვახერხებ, რომ კისრით, ნიკაპით ან ფეხებით გადავიღო. ძირითადად ბუნებასა და კულტურულ ძეგლებს ვუღებ. სხვათაშორის, კარგად გამომდის. ასევე ძალიან მიყვარს ზღვა და ცურვა.

— რატომ აირჩიე ხელოვნებათმცოდნეობა, რას ნიშნავს შენთვის ხელოვნება?

— ადრეული ასაკიდან მიყვარდა ხელოვნების ნიმუშების დათვალიერება. დაახლოებით, მერვე-მეცხრე კლასიდან უკვე მიტაცებდა ხელოვნების გაკვეთილი. დავალბებოდა სულ ვამზადებდი. ერთხელ, კლასელს გაცინა, როცა მიქელანჯელოს „დავითი“-ს სურათი მივიტანე და აღფრთოვანებული ვყვებოდი მის შესახებ. სწორედ აღფრთოვანებამ ამარჩევინა ხელოვნება და ჩავაბარე კიდევ ხელოვნებათმცოდნეობაზე. ხელოვნება ჩემთვის ყველაფერია!

— რომელია შენთვის ყველაზე ძვირფასი ფრაზა?

— „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს“.

— რა არის საჭირო იმისთვის, რომ ადამიანი წარმატებული იყოს?

— თუ უყვარს ის საქმე, რომელსაც აკეთებს, ის წარმატებულია.

— რა არის ის, რასაც შენს თავს ყოველთვის უმეორებ?

— ყოველთვის ვუმეორებ, რომ არ უნდა გავჩერდე ერთ ადგილას. წინ უნდა ვიარო, სწორი ნაბიჯებით და დაცემისას აუცილებლად უნდა წამოვდგე, რათა სვლა განვაგრძო!

უფასო სამედიცინო აქცია — მოქალაქეთათვის!

„დედოფლისწყაროში საკმაოდ ბევრი პაციენტი, რომელიც გადაუდებელ მკურნალობას საჭიროებს...“

„კოტე მარდალეიშვილის სახელობის ონკოლოგიის სამედიცინო ცენტრისა“ და „სხივური მედიცინის ცენტრის“ მედიკოსებმა 29 სექტემბერს დედოფლისწყაროს ახლადამშენებულ საავადმყოფოში ადგილობრივი მოსახლეობისთვის უფასო სამედიცინო აქცია გამართეს. უფასო სამედიცინო კონსულტაციები კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით ხორციელდება.

საქველმოქმედო აქციის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობას საშუალება ჰქონდა, მიეღო მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ამბულატორიული მომსახურება, მათ შორის: უროლოგის, ონკოლოგის, გასტროენტეროლოგის, ენდოკრინოლოგის, თავის ტვინის ქირურგის, მამოლოგისა და გინეკოლოგის. დედაქალაქის წამყვანი მედიკოსების კაბინეტებთან დიდიდან რიგები და მაღალი დაინტერესება შეინიშნებოდა. პაციენტები აღნიშნავენ, რომ თბილისში გამგზავრებისა და წამყვანი კლინიკებში დიაგნოსტიკისთვის საჭირო ფინანსური სახსრები არ აქვთ, ამდენად ათეულობით წლის მანძილზე მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა კონტროლის გარეშე რჩება. ამ ფონზე მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კვალიფიციური ექიმები დედოფლისწყაროში ჩადიან და მოსახლეობის გამოკვლევა მათთვის საინტერესო კუთხით ადგილზე, სრულიად უფასოდ ხდება.

„ძალიან მნიშვნელოვანია, შვილო, მართლა კარგი საქმეა. ძალიან კმაყოფილი ვართ ორგანიზატორებისა და ექიმებისა. დღევანდელ გაჭირვებულ ცხოვრებაში ამაზე კარგს რას გააკეთებენ, რომ სოფლებში ჩავიდნენ და გაჭირვებულ მოსახლეობას გვერდით დაუდგნენ, უფასოდ გამოიკვლიონ. ყველას ხომ არ აქვს საშუალება, თბილისში წავიდეს, წარმოუდგენლად მაღალი ფასები კლინიკებში. მხოლოდ კონსულტაციები 100 ლარამდე ჯდება. ისეთი დრო დაგვიდგა, პენსიონერს, გლეხს, უმრავლესობას არ აქვს ამის საშუალება. სოფლებიდან დედოფლისწყაროში ამოსვლაც გვიჭირს და დედაქალა-

ქმი — მითუმეტეს. მედიკოსებმაც უნდა გაითვალისწინონ ქართველი ერის გაჭირვება, არარეალური ფასები შეამცირონ და, არაფერი დამავდება, თუ წელიწადში ერთხელ რეგიონებში უფასოდ გამოიკვლევენ ადამიანებს. ხშირად უნდა ტარდებოდეს ასეთი აქციები, მით უმეტეს, დედოფლისწყაროში სიმსივნის გავრცელების რისკი არსებობს, ამაზე სულ საუბრობდნენ. ამიტომ მეტი ყურადღება საჭირო, რომ არაფერი გამოგვეპაროს. ჯანმრთელობის ფასი არაფერია ამ ცხოვრებაში, ამიტომ მთელი აქცენტი ჯანმრთელობის დაცვას და მის გაუმჯობესებას უნდა დაეთმოს,“ — აღნიშნავენ დედოფლისწყაროელები.

„რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ დედოფლისწყაროს კლინიკას, სადაც დიდიდან საქველმოქმედო აქცია მიმდინარეობდა, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანაშია ეწვია. მერი გაესაუბრა როგორც თბილისიდან ჩამოსულ მედიკოსებს, ისე ადგილობრივ მოსახლეობას, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით იყვნენ მოსულნი. ჯანაშიამ მოსახლეობა მათთვის საინტერესო სხვადასხვა საკითხზე დააკავალანა და კომპეტენციის ფარგლებში დახმარება აღუთქვა. სხივური მედიცინის ცენტრისა და მარდალეიშვილის კლინიკის მედიკოსებს მერმა მადლობა გადაუხადა სტუმრობისთვის და აღნიშნა, რომ სამომავლოდ მერია კვლავაც აქტიურად გააგრძელებს უფასო სამედიცინო აქციების დაგეგმვას, როგორც ქალაქში, ისე სოფლებში.

„დედოფლისწყაროს ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობს, ხშირად ჩატარდეს უფასო სამედიცინო აქციები ჩვენს რაიონში. კარგად გვესმის, რომ მნიშვნელოვანია ამგვარი აქტივობები ადამიანების ჯანმრთელობისთვის, ამიტომაც ბოლო წლების განმავლობაში

სხვადასხვა კლინიკებთან მჭიდრო თანამშრომლობა დაგვამყარეთ. სისხლის ბანკიდან დაწყებული, ნივთიერი ჯვრით გაგრძელებული, სხვა წამყვანი კლინიკების ჩათვლით არაერთხელ იყვნენ როგორც ქალაქ დედოფლისწყაროში, ისე მის სხვადასხვა ზონაში. ვცდილობთ, ექიმები მოწყვეტილ სოფლებშიც ჩავიყვანოთ, რათა სრულად ავითვისოთ ტერიტორია და მაქსიმალურად ყველას მივანვიდინოთ ჩვენი კეთილი ნება. ზონების მიხედვით ვგეგმავთ ხოლმე და მიხარია, რომ ჩემი მერობის განმავლობაში ეს ჩვენი მუშაობის ერთ-ერთი აქტიური მიმართულებაა. ამის თაობაზე თქვენი გაზეთიც აქტიურად წერდა, მომავალშიც ასე გაგრძელდება, რათა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობაც მოქალაქეთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე იდგეს,“ — აღნიშნავენ ნიკოლოზ ჯანაშია.

„სხივური მედიცინის ცენტრის“ ხელმძღვანელი ბსნპ სურბულაძე განუცხადებდა „შირაქთან“ საუბრისას ამბობს, რომ დედოფლისწყაროში 200-მდე პაციენტი გამოიკვლიეს, რომელთა შორის საკმაოდ ბევრი დაავადება დაფიქსირდა. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ამბობს, რომ გამოვლინდა ავთვისებიანი სიმსივნის დიაგნოზის რამდენიმე შემთხვევა.

„ჩავატარეთ უფასო პროფილაქტიკური გასინჯვები. მინდა გითხრათ, რომ ასეთ გასვლით ღონისძიებებს ჩვენ ძალიან ხშირად ვატარებთ საქართველოს სხვადასხვა რაიონებში. ამჯერად ვესტუმრეთ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს. კახეთის გუბერნატორისა და დედოფლისწყაროს მერის მხარდაჭერით შევძელით აქ ჩამოსვლა და სხვადასხვა პროფილის ექიმის ჩამოყვანა. ათზე მეტი სპეციალისტი ჩამოვიდა. მინდა გითხრათ, რომ საკმაოდ კარგად იყო ორგანიზებული ეს აქცია, ძალიან დიდი ხელშეწყობა გვექნა. დატვირთული დღე იყო, ბევრი მსურველი მოვიდა, საბოლოოდ 200-მდე პაციენტი გავისინჯეთ. მე ვფიქრობ, ძალიან საჭირო ღონისძიებებია, რადგან ამ კვლევების შედეგად



გამოვლინდა საკმაოდ ბევრი პაციენტი, რომელიც მკურნალობას საჭიროებს და უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება. ზოგადად, რაიონებში ჭირს ვინრო სპეციალიზაციის ექიმები, კვალიფიციური კადრების დეფიციტია. მათ შორის რეგიონებში პრობლემა ონკოლოგიის არსებობა, ეს ცოტა სპეციფიური სფეროა. ამიტომ, გარდა იმისა, რომ ასეთი ერთჯერადი უფასო აქციები ტარდება, გადაწყვიტეთ ხელშეკრულებები და მემორანდუმები გავაფორმოთ რეგიონებში მდებარე კლინიკებთან და სოფლების ამბულატორიებთან, რადგანაც ჩვენთვის, დიდი კლინიკებისთვის ამბულატორიები და რაიონული კლინიკები არის პირველი ხაზი. მათ პირველივე ეტაპზე უშუალო შეხება აქვთ სოფლად მცხოვრებ ადამიანებთან და პათოლოგიების აღმოჩენის შემდეგ ხდება პაციენტების დაკვილიანება. მათ უფრო მეტად ჭირდებათ სპეციალისტების გვერდით დგომა. ხელშეკრულებების ნაწილი უკვე გაფორმებულია, ზოგან ახლა მიმდინარეობს მემორანდუმის გაფორმების პროცესი. ამ ორმხრივი ვალდებულებების ფარგლებში აქტიურად ვითანამშრომლებთ ერთმანეთთან, მჭიდრო კავშირი კი ვითარებას ბევრად გააუმჯობესებს და დაავადებების დროულ გამოვლენასა თუ პრევენციას შეუძლებს. ასე რომ, სამომავლოდ, ჩვენც ხშირად ვაპირებთ, მათ შორის საქველმოქმედო, თუ შეღავათიანი პირობებით სხვადასხვა ღონისძიებების გამართვას. ვფიქრობთ, რომ ეს ყველაფერი ძალიან სასარგებლო იქნება პირველ რიგში ჩვენი მოსახლეობისთვის,“ — აცხადებს ბესიკ სურგულაძე.

პროცესი კახეთის რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტებში გაგრძელდება. მედიკოსებმა ამჯერად საგარეჯოში გადაინაცვლეს.

ილია მარტყოფლიშვილი



ქვემო ქალის სკოლა პროფესიული უნარების განვითარების პროგრამაში ჩართო

დედოფლისწყაროს, ქვემო ქალის საჯარო სკოლა ახალი სასწავლო წლიდან პროფესიული უნარების განვითარების პროგრამაში ჩაერთო.

სკოლაში საზოგადოებრივ კოლეჯ „აისტან“ მემორანდუმით გააფორმა. სკოლის წარმომადგენლის თქმით, „ელექტრობის“ ჯგუფი VIII-X კლასის 12 მოსწავლეთი დაკომპლექტდა.

„არჩეულმა მიმართულებამ დიდი ინტერესი გამოიწვია ბავშვებში, ამიტომ თავისუფალი მსმენელიც ბევრია,“ — აღნიშნავენ ქვემო ქალის სკოლაში.



რას ფიქრობენ სკოლის დირექტორები უცვლილ საგამოსდო სისტემაზე?

საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის ცნობით, სკოლის გამოსაშვებ გამოცდებს (CAT) შესაძლოა, ეროვნული გამოცდები შეერწყას. ინიციატივის მიხედვით, მსგავსი ცვლილებები ეროვნულ გამოცდებში 2020 წლამდე უნდა მოხდეს.

გაზეთი „შირაქი“ დაინტერესდა, რას ფიქრობენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა საჯარო სკოლების დირექტორები აღნიშნულთან დაკავშირებით და როგორ აფასებენ სამომავლოდ გამოცდების გაერთიანების იდეას. ამ კითხვით მცირე გამოკითხვა ჩავატარეთ. დირექტორები საგამოსდო სისტემის რეფორმირებას მიესალმებიან და ცვლილებების აუცილებლობაზე საუბრობენ. ბევრი მათგანი კონკრეტულ ხარვეზებზეც მიახიშნებს.

ლალი იაკობიშვილი-ჩერქეზიშვილი (ქალაქ დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის, დირექტორი):

„ძალიან დადებითი ინიციატივაა, რადგან ამდენი გამოცდა, ვფიქრობ, მოსწავლეებისთვის ზედმეტია. საატესტატო გამოცდები მოსწავლის ცოდნასა და უნარებს სათანადოდ ვერ განსაზღვრავს, შესაბამისად, გაერთიანებით ხარისხი აიწევს.

მამუკა ყაპრელიშვილი (სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის დირექტორი): „ეს ინიციატივა კარგია, რადგან ორი გამოცდა ადმინისტრაციული რესურსის ზედმეტი ხარჯია. ასევე, მოსწავლეები ფაქტობრივად ერთსა და იმავე საგნებს ორჯერ აბარებენ“.

ნანული ჭილიტაშვილი (სამრეკლოს საჯარო სკოლის დირექტორი): „ინიციატივა ნამდვილად კარგია, რადგან ახლა მოსწავლეს ერთ თვეში რამდენიმე გამოცდის ჩაბარება უწევს. სკოლაში ჩატარებული გამოცდები სკოლის ავტორიტეტსაც გაზრდის და მას უფრო მეტად დააფასებენ“.

მანია ხუნდაშვილი (ზემო მაჩხანის საჯარო სკოლის დირექტორი): „საატესტატო გამოცდებს დიდი ნაკლი აქვს, რადგან ხარვეზები და გაუმართაობა შეინიშნება. თუ გაერთიანების

შედეგად გამოცდების ხარისხი აიწევს, მხოლოდ მისასალმებელია. აუცილებელია, ყველაფერი გამჭვირვალე იყოს და კითხვები არ ჩნდებოდეს“.

თიანე ოთარაშვილი (დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის დირექტორი): „განათლების სფეროში რეფორმები ნამდვილად საჭიროა. გამოცდების გაერთიანებას დადებითად ვაფასებ, ნამდვილად დროულია გამოცდების ფორმატის შეცვლა, რადგან ეს გამოცდები არ არის ცოდნის რეალური განმსაზღვრელი. მხოლოდ სავარაუდო კითხვებს მოიცავს, რა დროსაც დიდია ალბათობა, რომ მოსწავლემ შემთხვევით შეცდომა დაუშვას. აღსანიშნავია ისიც, რომ მივლევ რიგ საგნებში საატესტატო და ეროვნული გამოცდების ფორმატში თანხვედრა არ არის, რაც მოსწავლეებისთვის გარკვეულ სირთულეს ქმნის. ბოლო 2-3 თვის განმავლობაში ჯერ 4 საატესტატო გამოცდას აბარებენ, შემდეგ ეროვნული გამოცდებით გრძელდება, რაც სირთულეა.“

ილია მარტყოფლიშვილი

ევროპული დღეები მუზეუმში

ევროპა – ჩვენი ძველი სახლი და დღევანდელი ორიენტირი, ასეთია ქართველი ერის წარსული და დღევანდელი. „მე ქართველი ვარ, მაშასადამე ვარ ევროპელი“, „მეტი ევროპა საქართველოში“ და „მეტი საქართველო ევროპაში“- ეს ის გზავნილებია, რომელიც საქართველოს მისწრაფებებს, კვლავ დაუბრუნდეს დიდ ევროპულ ოჯახს, თვალნათელს ხდის. ევროპის მემკვიდრეობის დღეები ყოველი წლის სექტემბერში აღინიშნება საქართველოში. საგულისხმოა, რომ 2018 წელი, ევროკავშირის ინიციატივით და ევროპარლამენტის გადაწყვეტილებით, ევროპაში კულტურული მემკვიდრეობის წაღება გამოცხადებული. საქართველოში ამ მოვლენისადმი მიძღვნილი ღონისძიებები 29-30 სექტემბერს აღინიშნა. კონფერენცია

ბუნდოვანი გადმოცემებისა და ლერმონტოვის რამდენიმე ლექსისა.

დილა გავატარეთ ერთი მოხუცი მხატვრის სურათების თვალიერებაში. ის ციხე, რომელიც უნდა დაგვეთვლიერებინა, შვიდი სხვადასხვა მხრიდან დაეხატა მას. ოციოდე წუთში გავლიეთ ოთხი თუ ხუთი ვერსი, რომლებიც სამეფო ნანგრევებს გვაშთაბრუნებდა.

უეცრად ერთ მთის მოსახვევში ჩვენ თვალწინ შემოიხიზნა დიდებული შესახედაობის ციხე. იგი განმარტოებულ მთის წვერზე იდგა და ალაზნის ველს გადმოჰყურებდა, უკან, შორიზონტზე, გადაჭიმულიყო კავკასიონის თვალწარმტაცი ჯაჭვი. მას დიადი და საუცხოო ფარანები ჰქონდა და ეტყობოდა ამ ნაპრალებში არა მარტო დროს, არამედ

არის კამბისენე, სადაც ერთმანეთს ხვდებიან იბერები, ალბანები და სომხები და რომელიც არის უწყლო და ოღოროლორო ქვეყანა მდ. ალაზნთან“.

III საუკუნის რომაელი ისტორიკოსი **დიონ კასიუსი** კი მოგვითხრობს, რომ „ალბანეთზე კოლხეთიდან სომხეთზე გავლით გალაშქრებული პომპეუსი (საგულისხმოა, რომ რომაელი ჯარისკაცის მუზარადი ინახება დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში) გავიდა კორნოსზე, (მდ. მტკვარზე), აქედან კამბისამდე (მდ. იორამდე) მას არავითარი ვნება არ შეხვედრია მონინაღმდევისგან, მაგრამ დიად შეაწუხა სიცხემ და უწყლობამ. მეგზურებმა, რომლებიც ტყვეთა რიცხვიდან იყვნენ, ნაიყვანეს ისინი ნაკლებად მოსახერხებელი გზით. ეს გზა გადიოდა ხორნაბუჯზე, რომელიც ფოტოზე აღბეჭდა მ. ლერმონტოვმა. ისინი მივიდნენ აბანტუმდე (მდ. ალაზნამდე), თან მიჰქონდათ მხოლოდ წყალი, რადგან დანარჩენს ნებაყოფლობით იღებდნენ ადგილობრივ მცხოვრებთაგან, რის გამოც არაფრით ავიწროვებდნენ მათ“. ასე ცოცხლად აღწერა დიონ კასიუსმა პომპეუსის ლაშქრობის ერთი ეპიზოდი, რომელმაც გზად ხორნაბუჯზე გაიარა.

ცნობილია, რომ IV საუკუნის პირველ ნახევარში კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეწეოდა კაბადოკიდან მოსული ქრისტიანი მისიონერი ქალი - წმინდა ნინო. მის ქადაგებას დიდი წარმატება ხვდა და

გამბა, რომელმაც 1820-24 წლებში იმოგზაურა კავკასიაში, იყო საფრანგეთის კონსული თბილისში. მას მოცემული აქვს ცნობები სილნალის შესახებ. გამბამ შეადგინა და საფრანგეთის მთავრობას წარუდგინა ინდოეთიდან ვაჭრობის გაუმჯობესების პროექტი. პროექტი ითვალისწინებდა კავკასიაზე გამავალი სატრანზიტო გზის გამოყენებას. ამ პროექტმა დააინტერესა მინისტრი რიშელიე. მისი აზრით საფრანგეთის საეჭრო ფორმებს მეტი ყურადღება უნდა მიექციათ საქართველოსთვის, რომელიც შეიძლება გამხდარიყო ევროპა-აზიის ვაჭრობის მთავარი სატრანზიტო ლინკი. ამ მიზნით საქართველოს სამხედრო გზით ჩავიდა თბილისში. იმოგზაურა კახეთში. 1821 წლის 8 ოქტომბერს ამიერკავკასიაში გარკვეული ვადით დაწესდა შეღავათიანი ვაჭრობა და ტრანზიტო. გამბა იყო ამ კანონის მთავარი ინიციატორი.

ფრანგი არქეოლოგი და ეთნოგრაფი **ჟოზეფ დეზი** (1853-1931). მან საქართველოს თითქმის ყოველი კუთხის ამსახველი ფოტოები და ჩანაწერები დაგვიტოვა. 1897 წელს გრაფმა სერგეი შერემეტიევმა იგი საქართველოში სოფელ კარდანახის მამულში დააპატიჟა. იგი ბევრს სწავლობდა და ჩანაწერებს აკეთებდა, იღებდა ფოტოებს, რათა ფრანგულ სამეცნიერო წრეებს გააცნოს საქართველო. კარდანახიდან დეზი სილნალში გაემგზავრა. საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ ბარონმა დეზი-ბაი სილნალის ბაზარში გადაღებული ფოტო საფოსტო ბარათზე დაბეჭდა. დღეს ეს ბარათები ნებისმიერი კოლექციონერისათვის საამაყია.

საქართველოდან საფრანგეთში დაბრუნებული ბარონი ყოველ წელს აწყობდა გამოფენებს, აქვეყნებდა წიგნებს საქართველოს შესახებ და ქართულ კულტურულ მემკვიდრეობას აცნობდა ფრანგ საზოგადოებას.

გრიგორ გაგარინი - თავადი, მხატვარი, რომელმაც ევროპას საქართველო გააცნო (1810-1893). დაიბადა მოსკოვში, ცხოვრობდა პარიზსა და რომში, მსახურობდა რუსეთის საელჩოებში. 1848 წელს კავკასიაში გაემგზავრა. მის მიერ გადაღებული ერთ-ერთი ფოტო ასახავს ელიაობის დღესასწაულს.

საინტერესო აღწერა დაგვიტოვა **იტალიელმა მისიონერებმა**, რომ „ქიზიყში“ არსებობს საყდარი, სადაც ზის ეპისკოპოსი „ვანანელი“

XIX საუკუნის 60-70 წლებში ნავთობის საექსპლოატაციო ჭები, აგრეთვე ჭაბურღილები განლაგებული იყო შირაქის, მირზანის და ელდრის (კასრის წყალი) ველებზე. **ძმებმა სიმენსებმა** (პრუსიის ქვეშევრდომები) ეს მიწები იჯარაში აიღეს და პირველი საძიებო საექსპლოატაციო სამუშაოები ჩაატარეს.

2007 წელს, 19 მაისს, თბილისში, ჰუმბოლტის საზოგადოების ეგიდით, შავი ზღვის აუზის პრესტიჟიული არქიტექტურის საკითხებზე მიმდინარე სიმპოზიუმის ერთი დღე კახეთის არქოლოგიური ძეგლების გაცნობას დაეთმო. ეს მოგზაურობა დედოფლისწყაროში დასრულდა. სამპოზიუმში 30 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა. დედოფლისწყაროში ჩამოვიდნენ: გერმანელი, მოლდოველი, რუმინელი, უკრაინელი, ბულგარელი, თურქი არქეოლოგები, ბერლინის არქეოლოგიური ინსტიტუტის პროფესორები, საქართველოში გერმანიის ელჩის პირველი მოადგილე და საელჩოს სხვა წარმომადგენლები.

მუზეუმში უცხოელი არქოლოგებისთვის ივრის ზეგანზე წარმოებული გათხრების შედეგებზე ლექცია პროფესორმა კიაზო ფიცხელაურმა წაიკითხა. სტუმრებს უჩვენა სატელიტური გადაღებების მეშვეობით მოპოვებული უნიკალური ფოტო-მასალა, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია.

კონფერენციაზე წარმოდგინდა თემებმა მსმენელის დიდი ინტერესი გამოიწვია. კონფერენციას ესწრებოდნენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი **თამარ თამაზაშვილი**, სპეციალისტი **ნანული ნატროშვილი**, კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის სპეციალისტი **მაია ბოსტაშვილი**, მონღოელი სტუმრები, რიგითი მოქალაქეები, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს მუზეუმის თანამშრომლებს კიდევ ერთი საინტერესო, სამსახურო და ლამაზი დღისათვის.

ნანირა ბორაშვილი



მიუძღვნა ამ თემას დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმაც. კონფერენცია გაიხსნა ქ. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლის **გურანდა მადარაშვილის** ნახატების გამოფენით. გურანდამ თავისი ნიჭი, რომელიც გენეტიკურად მოსდევს (დეიდამაც სამხატვრო აკადემია დაამთავრა), თეორიული და პრაქტიკული ცოდნა დედოფლისწყაროს სამხატვრო სკოლაში განავითარა, დახვეწა და, უნდა ითქვას, რომ, 16 წლის გოგონას კვალობაზე, მას შესანიშნავი ნახატები აქვს. გამოფენაზე მან ზეთის საღებავში შესრულებული 12 ნამუშევარი წარმოადგინა. თემას პირდაპირ პასუხობდა ნახატი „ფანჯარა ევროპისკენ“, სადაც ნათლად არის წარმოდგენილი მისი თვალთ დახატული ევროპული სიკეთეები. ყურადღებას იპყრობს ხის ტოტზე შემომჯდარი ჩიტი, რომელიც მისივე ისწრაფვის, გული, რომელიც იმედის, სიხარულის და სიყვარულის ყვავილი ყვავის, წყლის ჩქერს მინდობილი შავი ვარდები, ლამაზი პეიზაჟები, პორტრეტები, რომლებშიც მკაფიოდ არის გამოკვეთილი ხასიათები და სხვა. ზეთში შესრულებული ნახატების გვერდით გურანდა გრაფიკული ნამუშევრებითაც არის გატაცებული. გურანდას გასამხნეებლად და მხარდასაჭერად მოვიდნენ გამოფენაზე მისი ახლობლები, თანაკლასელები, კლასის ხელმძღვანელი ვასილ სვიმონიშვილი და სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ირინე თეთვაძე. გამოფენა ოქტომბრის თვის ბოლომდე გასტანს.

კონფერენციის მეორე ნაწილი დაეთმო მეტად საინტერესო თემატიკას – „**ევროპელი მოგზაურების თვალთ დახატული ქიზიყი**“. მუზეუმის დირექტორმა **ლალი გურასაბაშვილმა** წარმოადგინა დიდი ფრანგი მწერლის **ალექსანდრე დიუმას მოგზაურობა საქართველოში, კერძოდ დედოფლისწყაროში 1858 წელს**.

აი, რას წერს იგი თავის მოგონებებში: „სალამოს შვიდი საათი იყო, როცა ცარსკი კოლოდეცში შევედი. ეს არის ახლად ამენებული ქალაქი, რომელიც ბანაკს უფრო ჰგავს, ვიდრე ქალაქს.“

მასპინძლებმა შეგვინვიეს მშვენიერ, დამთბარ ოთახებში. გვიმასპინძლეს დიდებული მანქანები მინანური ჰქონდა; „**ბატონ დიუმას დათვალეობები თამარ მეფის ციხე**“.

თამარ მეფე საქართველოში ყველაზე საყვარელი და პოპულარული პიროვნებაა. იგი თანამედროვე საფრანგეთის მეფის წმინდა ლუდოვიკოსი და ისიც მუშაობდა ებრძოდა მასპინძლებს. ისევე, როგორც ნორმანდიაში ყველა ძველ ციხეს ემზავი რობერტის სახელი ჰქვია, საქართველოშიც ყველა ძველ ციხეს თამარ მეფის სახელს მიანერვენ. აღსანიშნავია, რომ ეს ძველი ძეგლები ულამაზეს ადგილებში არიან აგებული და საუცხოო შესახედაობას ქმნიან. ვეძებდი თამარ მეფის ისტორიას, მაგრამ ვერაფერი ვიპოვე, გარდა

რეკოლუციასაც გავარა.

თამარ მეფის ციხიდან ექვსი ვერსიის დამორებით აღიმართება კიდევ ერთი მთა, რომლის შესახებ გადმოცემა არსებობს. ჩვენი ყურადღება მიიქცია მისმა ლამაზმა მოყვანილობამ და საუცხოო განათებამ. ამ მთას ელიას მთა ჰქვია, ძირს მღაშე ტბა ეკვება. შუა მთაში გამოჭრილ ფართო მღვიმეში ამეხებულა სამრეკლო, სადაც სმირად დადიან მცხოვრებლები. გადმოცემა არსებობს. ამ მღვიმეში ილია წინასწარმეტყველისათვის ყვავს საჭმელი მოჰქონდა და რომ მან თავისი წამოსასხამი თავის მონაფეს ელისეს დაუტოვა, თვითონ კი მთის მწვერვალთან ცაში ამაღლდა“.

მუზეუმის სპეციალისტმა **ლალი ბასილაშვილმა** მსმენელს ჯერ ქიზიყის შესახებ მიანოდა ზოგადი ინფორმაცია, შემდეგ კი ევროპელი მოგზაურების ნაზრევი გააცნო მათ.

ქიზიყი საქართველოს უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. იგი კახეთის ერთ-ერთი მხარეა და დღეს სილნალისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებს მოიცავს.

ქიზიყის მდებარეობა და მისი ბუნებრივი პირობები, განსაკუთრებით რელიეფი - ჩრდილო ნაწილში განლაგებული უძველესი სოფლებით მჭიდროდ დასახლებული მთა-გორიანი მხარე, რომელიც სამი მხრიდან შემორტყმულია გამაღილი ველებით - ისტორიულად გარკვეულ როლს თამაშობდა მის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში.



ქიზიყის ისტორიული საზღვრების დადგენამ მრავალი მკვლევარის ყურადღება მიიქცია. ქიზიყი ამ მხარის გვიანი სახელია, რომელიც წყაროებში მხოლოდ XV საუკუნიდან გვხვდება. ადრე მას „კამბეჩოვანი“ ერქვა. ამას ადასტურებს უპირველეს ყოვლისა **ვახუშტი ბაგრატიონი**: „არამედ საქვაბე-საქობო-ასანურამდე არს ადგილი ქიზიყისა, რომელიც მოხვევია მთასა, ცივის მთიდან გამოსულსა. ამას ეწოდა პირველ „კამბეჩოვანი“. ასევე ვიქრობს „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი გადამწერიც, რომელიც არმაზზე მიანერვენ - „კამბეჩოვანი“ ქიზიყია“. „კამბეჩოვანს“ ძველი და ახალი ნელთალრიცხვის მიჯნაზე მცხოვრები ბერძენი გეოგრაფი და ისტორიკოსი **სტრაბონი** ასე აღწერს: „ეს



337 წელს ქართლის სამეფოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად იქნა გამოცხადებული.

საქართველოს ისტორიაში ამ გადამწყვეტილებას უაღრესად დიდი მნიშვნელობის, ღრმა პოლიტიკური საფუძვლებიც ჰქონდა. საქმე ის გახლავთ, რომ დაწყებული ახალი წელთაღრიცხვის 14 წლიდან, როდესაც ივერიამ - ქართლის სამეფომ, რომის იმპერიის მეგობრობის სტატუსი მიიღო, მის მესვეურებს დასავლური ორიენტაციისთვის ზურგი აღარ შეუბრუნებიათ და ამიერიდან საქართველოს დიდი პოლიტიკის ვექტორი დასავლეთისკენ იყო მიმართული. ამიერიდან აშკრად გამოიკვეთა ქართლის მეფეთა, ქართველ სახელმწიფო მოღვაწეთა კულტურული ორიენტაცია დასავლეთისკენ. აი, ამ კულტურულ და პოლიტიკურ ორიენტაციას მყარი საყრდენი მიეცა IV საუკუნის დასაწყისში, როდესაც საქართველომ სასაზღვრო ირანის მცდელობის სანინააღმდეგოდ აქ ცეცხლთაყვანისმცემლობა დაენერგა, რომის იმპერიასთან თითქმის ერთდროულად, სახელმწიფოებრივ რელიგიად ქრისტიანობა აღიარა.

საქართველოში ბევრმა უცხოელმა იმოგზაურა და ყოველ მათგანს სხვადასხვა ინტერესი ამოძრავებდა. მათ შორის ისეთებიც იყვნენ, რომლებიც წლების განმავლობაში საქართველოში ბრუნდებოდნენ არა მხოლოდ მეცნიერული ინტერესების, არამედ მეგობრულ ურთიერთობათა გამო, რაც მათ ქართველებთან აკავშირებდა. სწორედ ასეთები იყვნენ: გერმანელი მოგზაური და მეცნიერი (1745-1781) **იოჰან ანტონ გიულდენშტედტი**. 1771 წელს ჩამოვიდა საქართველოში. პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის დავალებით, მას უნდა შეესწავლა საქართველო. იმოგზაურა კახეთში, შესვდა ერეკლე II-ს, აღწერა ქიზიყის სოფლები და განსაზღვრა მისი საზღვრები.

ფრანგი მოგზაური, ვაჭარი **ჟაკ ფრანსუა**



გაზეთი „შირაქის“ რედაქცია დედოფლისწყაროს მრავალწლიან ისტორიას იხსნავს. უნიკალური ამბები სხვაგან არსადაა ასე დაცული, ამიტომ გადაწყვიტეთ, ჩვენს არქივში შემონახული გაზეთის ძველი, გაყვითლებული ფურცლებიდან საინტერესო ამონარიდები კვლავაც შემოგთავაზოთ.

1959 WLIS OQTOMBERI

1973 WLIS OQTOMBERI

● GANĒEA SVEBULEBASI TU BIBLIOTEKA, VER GAARKVEV!.. WTELWAROSI 9 SASOFLO BIBLIOTEKA ARSEBOBS, ROMLEBIC SASOFLO SABWOEBIS ARMSKOMEBIS BIUJETZE ARIAN. IMS GAMO, ROM GAMĒEBI YOVELWLIURAD KUTVNIL SVEBULEBASI GADIAN, SABWOEBS ARA AQVT SAKM RISI TANXEBI, ROM ASET DROS SEMVLELEBS MSCEN ERTI TVIS GASAMRJELO, BIBLIOTEKEBI MĒELI TVIT IKETĒBA. MGALITAD; ZĒMO MĀ-CXAANIS BIBLIOTEKIS KAREBZE ASETI GANCXADE BAA: AW 7 OQTOMBRIDAN 4 NOEMBRANDE BI-BLIOTEKA AR IMUSAVEBS, GAMĒE SVEBULEBASIA-ES GAUSAZLISI MDGOMAREOBA UKMAYOFILEBAS IWWEVS MITXVELEBS SORIS. KARGI IQNEBA SASO-FLO SABWOEBMA DA PARTIULM ORGANIZACIE-BMA GAMONAXON ISETI ANKANAGEBI, ROMLEBIC BIBLIOTEKARIS MOVALEOBAS MORIGEOBIT SEAS RULEBEN, SAZOGADOEBRIVI DATVIRTVIS WESIT. ES XELS SEUWOEBS BIBLIOTEKIS MUSAOBAS DA MITXVELTA SAYVEDUREBSAC ARAR MOVISMENTIERS AZLEVS... WINAPREBIS VAJKACUR TRA-SVEBULEBASI MĀOLOD GAMĒE UNDA GADIODDES DA ARA BIBLIOTEKA!

● QARTVELEBS BEVRI TRADICIA DAU TOVES WINAPREBMA, RITIC VAMAYOBT. TRA DICIEBI GAVAGRZELĒT, GAVALAMZĒT, TANADROULOBAS DAVUKAVSIRET. MĀGRAM CVENI WINAPREBIDAN ASE USNOD ARAVIS HQONIA KISRAME CAMOSVEBULI TM DA CANEBZE SA ZIZRRAD DAKIDEBULI BAKEBI. PIRIQIT, YVE-LAFERS TAVISI FASI HQONDA, ROGORC ES TETIKURAD, ISE MORALURAD. SAINTERESOA ULVASIS ISTORIAC... ARAVIS VAVALDEBUL BT DRES AUCLEBLAD ULVASI ATARON, MĀGRAM CVENS AXALGAZRDEBS IMAS KI VETYVIT ROM KACS ARASODES TMEBI MKREBAMDE AR HQONIA CAMOSULI. TMS ASE GAZRDA QALEBS SESVENIS... RA SJOBIA LAMZAD SEKREWIL TMS, RAC ATAVISUFLEBS KACS MĀMO MR VDELIS-SEXEDULEBISGAN DA SAXES LAM-TRADICIAS NU GAVCVLIT MOXETIALE MODAZE- WERS JAFARIZIS SKOLIS DIREQTORIS

● KAVKASIONIS MĒEBI WELS NAADREVAD MOADGILE GIORGI TOKLIKISVILI. MOVIDA TOVLI, MIDAN IRMEBI BARRIS WALEBSI CAMOVIDNEN ALAZNIS WALEBIDAN GAMOFRTXALI XARIREM AXLA TAVS AFAREBS TARH NIS ZONASI, RELEBESI ARSEBUL ZEVNAREBS, XANDAXAN IVRIS WALEB CADIS. KOLMEURNEEBI UKVE ORIKVIRAA MAXULOBEN MARTOD DARCE NIL XARIREMS. ES AM MDAMOEBIS TVIS ISVIATI SEMXVEVAAMT ARAVIN GABEDOT MSZE NADIROBA ERTAD GAVUFRTXILDET MARTOD DARCENIL IREMS, CVENI BUNEBIS ULAMZES MSVENEBAS, WERS NADIROBIS SAXELMWOFO INSPEQTORI I. MMASVILI.

● SIAMOVNEBIT DAVWERDIT WERILS, ROMELSAC DAVIWEBDIT WINADADEBIT WELA DOBA YOVELTVIURAD IZRDEBA ARBOSIKSI-MGRAM ES VER DAGVIWERIA RATOM IMTOM ROM ARNISNULI SOFLIS 8 BRIGADIDAN GEGMA VER SRULDEBA VIN GVARCXVENS? SAKITXAVAI ES ARIS! SXVATA MBAZVIT, TU LAZATI GULISTVIS MT AIRES GADIDEBULI VALDEBULEBA, MGRAM DAIVIWES, ROM RAKI IVALDEBULE, KIDEC UNDA SEASRULO. DAIVIWES, ROM GEGMA KANONIA DA MSI SEUSRULELOBIS UFLEBA ARAVIS AQVS. RA ARIS CAMORC NIS MZEI? IS, ROM BRIGADEBI AR IYENEBEN SOCIALISTUR SEJIBREBAS - WARMTEBIS AM UBADLO SASUALEBAS. ROGORC SXVA BRI GADEBTAN, ISE SIGNIT GASLILI SEJIBREBA FORMLUR XASIATS ATAREBS, MOISUSTEBS SROMTI DISCIPLINA. ADGILI AQVS MWELAVTA DENADOBAS DA BRIGADIREBIS DAUDEVROBAS. USULGULOBA DA SROMS MECNIERULI ORGANIZACIIS UGULVELYOFA XDEBA. CAMORCENILI BRIGADEBIS BRIGADIREBI GULDASMT AR IKVLEVEN MZEZEBS DA GADAMREL ZOMBS AR MMARTAVEN. ASEVE NAKLEBI DA ARASAKMARI SI ARMOCNDA, GAMĒOBISA DA PARTIULI ORGANIZACIIS ROLI DA DAXMAREBA ARNISNULI BRIGADEBIS GAZLIEREBIS SAQMESI.



სოფელ არბოშვიკის მომღერალთა გუნდი თბილისში გასტროლებისას

● SOFEL ZĒMO MĀCXAANIS MSROMELBMA KARGI SACUQARI MIRE. SAQSPLUATACIOD GADAECA XUTOTAXIANI KETILMOWOBILI SANSOBIARO, ROMELIC DAKOMPLEQTDA KVALIFICIURI MUSAKEBIT. AXAL SANSOBIAROSI GAXSNIS PIRVE LIVE DRES PIRVELI VAJISVILI SEEZINA AXAL GAZRDA TAMAR BEVASVILS. ZĒMO MĀCXAANELI MSROMLEBI DID KMYOFILEBAS GAMOXATAVEN AXALI SANSOBIAROS ADGILZE GAXSNIT.

● KARGI SACUQARI ERGOT WTELWAROELEBS. QALAQIS CENTRSI GAIXSNA MEQANIZEBULI TONE (GAME ILO YAWASVILI), SASASUALO SKOLIS 515 MOSWAVLES YOVELDREDAC DRESI TOMANAXEVRAMDE QARTULI PURI CXVEBA. PRODUQTIS SAREALIZACIOD TONIS SENOBASIVE MOTAVSEBULIA MARAZIA, SADAC MOMKREBELI SIAMOVNEBIT IZENS CXEL-CXEL, GENRIEL LAVAS-PURS. DREVANDEL GAZRDIL MOTXOVNASI TONE NAMVILAD KARGI SACUQARIA CVENI GAMRJE MSROMLEBISTVIS. IGI MLIANAD AKMAYOFILEBS QALAQIS MOSAXLEOBIS MOTXOVNILEBAS QARTUL PURZE.

● ERTI TVEA SASKOLO ZARI DAIREKA, SAXEGABRWINEBULI BAVSEBI MEXEBS MUSXD NEN, MSWAVLEBEBI MEOBLIURI MRUNVELOBIT SEUDGNEN MOVALEOBIS SESRULEBAS. ASE QVEMO QEDSIC. MGRAM SAYOVELTAO SIXARULS FRTEBS AKVECEBS IS GAREMOEBA, ROM QEDIS SOFLIS KOOPERATIVIS QELSI DREME AR ISOVEBA MOSWAVLIS RVEULEBI DA 5-E KLASIS, SAXELMRVANEOBI GEORAFIA-, BOTANIKA-, ISTORIA- DA SXVA SAWROA, SOFLIS KOOPERATIVM DROULAD GAMASWOROS ES MDGOMAREOBA, RATA MOMVALM TAOBAM NORMLURAD ISWAVLOS.

● WTELWAROS SOFLIS KOOPERATIVIS GAMĒOBA DID YURADREBAS AQEVS SAVAWRO QELIS GAFARTOVBEBIS SAKITXS. AMTOM MOMK MAREBELTA UKET MOMSAXUREBIS MZINIT MARTO MMDINARE WLIS 8 TVESI GAIXSNA 5 MARAZIA DA 2 SASAZME. MT SORIS SAKOLMEURNEO BAZARSI GAIXSNA AXALI RKINA-KAVEULIS MARAZIA GANSAZRVRULIA, WLIS BOLOMDE KIDEV GAIXSNAS ERTI SAVAWRO FARDULI.


● ZĒMO MĀCXAANIS STALINIS SAXELOBIS KOLMEURNEOBIS WEVREBI TAVDADIBIT IBRZVIAN, ROM VALDEBULEBEBI GAANARDON. IMS GAMO, ROM AXLA KOLMEURNEEBMA ORJER METI RZE AWARMOES, VIDRE 1954 WELS TITOEUL SAFU RAJE XROKAZE, GAMĒOBAM GADAWVITA SOFLIS SASUALO SKOLIS 515 MOSWAVLES YOVELDREDAC DRESI TOMANAXEVRAMDE QARTULI PURI CXVEBA. PRODUQTIS SAREALIZACIOD TONIS SENOBASIVE MOTAVSEBULIA MARAZIA, SADAC MOMKREBELI SIAMOVNEBIT IZENS CXEL-CXEL, GENRIEL LAVAS-PURS. DREVANDEL GAZRDIL MOTXOVNASI TONE NAMVILAD KARGI SACUQARIA CVENI GAMRJE MSROMLEBISTVIS. IGI MLIANAD AKMAYOFILEBS QALAQIS MOSAXLEOBIS MOTXOVNILEBAS QARTUL PURZE.

● 1930-IANI WLEBIDAN ZĒMO MĀCXAANSI BOSTAANT UBANSI TUTIS XEZE IZRDEBA MUXA TUTIS XIS FURUROS ARMOCNDA RKO, ROMELIC QARIS, AN FRINVELIS MSVEOBIT MOXVDA DA FESVEBI GAIDGA. OR METRZE DIDI MUXA ASOLTILA, MGRAM MS SEXEBA AR AQVS MWASTAN MLIANAD SAZRDOOBS TUTIS XIS FESVEBIS MER NIADAGIDAN MREBULI SAZR DOTI.

● KARGI SACUQARI ERGOT WTELWAROELEBS. QALAQIS CENTRSI GAIXSNA MEQANIZEBULI TONE (GAME ILO YAWASVILI), SASASUALO SKOLIS 515 MOSWAVLES YOVELDREDAC DRESI TOMANAXEVRAMDE QARTULI PURI CXVEBA. PRODUQTIS SAREALIZACIOD TONIS SENOBASIVE MOTAVSEBULIA MARAZIA, SADAC MOMKREBELI SIAMOVNEBIT IZENS CXEL-CXEL, GENRIEL LAVAS-PURS. DREVANDEL GAZRDIL MOTXOVNASI TONE NAMVILAD KARGI SACUQARIA CVENI GAMRJE MSROMLEBISTVIS. IGI MLIANAD AKMAYOFILEBS QALAQIS MOSAXLEOBIS MOTXOVNILEBAS QARTUL PURZE.

(STILI DACULIA) მოამზადა ილია მარტყოფლიძე


კ რ ო ს ვ ო რ დ ი



შპეშლად: 1. რთი მკურნალობენ კურორტ ახტალზე 2. "ბებერი ..." - ასე ეძახდნენ იოჰან სებასტიან ბახს შვილები ზურგს უკან 3. რომელ ცხოველს უწოდებდა ვლადიმერ ეისოვკი "თაგვების ანგელოზს" 4. ღვინის გამყიდველი ძველ თბილისში 5. იუპიტერის მეუღლე 6. ტვირთის ვერტიკალურად ასანევი მანქანა 7. რა ქვეთიდება მოდის დაინფიცირების დროს 12. რას უწოდებენ საბუდარში ჩატოვებულ კვერცხს, რომლის გვერდით დედამა სხვა კვერცხები უნდა დადოს 13. რას შეადარეს ტუბერკულოზის გამომწვევი მიკრობი 14. რეპტილია, რომელიც მედიცინის სიმბოლოა 15. რის გამოყენებას გულისხმობს აკუპუნქტურა 16. სოფელი მცხეთის რაიონში, ცნობილია XVI ს-ის ციხესიმაგრით 19. რუს ოლუზონისტა დინასტია. ფსევდონიმი აიღეს კონოტეატრის შუქრეკლამიდან 20. ფანტასტი მწერალი ... ბრედერი 22. მდინარე საფრანგეთში 23. ტბა აფრიკაში. სიდიდით მესამე ვიქტორიასა და ტანგანიკის შემდეგ 24. არქტიკის მკვლევარი რობერტ ... 25. ერთგვარი თხილანი კანფეტი 26. ღრუბლის ან ზამბის ფთილა 27. კინორეჟისორი ... იოსელიანი 29. ახალი თევზისგან მომზადებული წვინანი 30. მღვდელმთავარი, სადაც იზრდება "ზღვის პალმა", რომლის ნაყოფი 15 კილოგრამს იწონის 8. რომელი ტერიტორიის სახელით არის ცნობილი კონფლიქტი, რომელიც დაიწყო სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის 1988 წელს 9. ფრანგული ტერმინი. ნიშნავს შეხვედრას 10. რომის იმპერატორი, რომელმაც თავი იუპიტერად გამოაცხადა და საკუთარი ცხენის გაკონსულემა მოინდომა 11. ტბა გარდაბნის რაიონში 12. ტბა დიდი ტბების სისტემიდან, რომელიც მოლიანად აშშ-ის ტერიტორიაზე მდებარეობს 14. რეპტილია, რომელიც მედიცინის სიმბოლოა 15. რის გამოყენებას გულისხმობს აკუპუნქტურა 17. იტალიის ეროვნული გმირი ... მოსულიშვილი 18. ადამიანის და ცხოველის კანის ზედა ფენა 19. სამშენებლო მასალა, რომლითაც ხის ძირებს ლეპავენ 21. ორგანული ნივთიერება. ამზადებენ საღებავებსა და ნაშლებს 24. კარლო კოლოდის ზღაპრის გმირი, რომლის სახელი ხის კოყრს ნიშნავს 28. ნახევარკუნძული მექსიკაში 30. მეფის ხელისუფლების მანშეხეტი საგანი: გვირგვინი, სკიპტრა, ტახტი 31. ზედაპირის ფართობით ყველაზე დიდი ტბა საქართველოში


ს ს შ ა

ალავერდა (პერდო) ნასრაშვილი. ჩვენო ძვირფასო, დიდი ტკივილო, მეუღლე, მამა და საყვარელო პაპავ, მშრომელო და თავდაზოგავო, წელს, 16 სექტემბერს, შენს დაბადების დღეს შეეხვდით უშენოდ სევდიანები. ერთი წელი გავიდა 5 ოქტომბერს რაც შენ ჩვენს გვერდით აღარ ხარ. დემონმა დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი და უფაღს ვთხოვთ, ნათელში იყოს შენი სული. შენი ოჯახი



მონატრეზა

შიქრია ქალაქი. შვილო ფიქრია, ჩემო საყვარელო, ჩემო გოგო, ამას რას მოვიფიქრებდი, თუ ამ სიბერის დროს გამაუბედურებდი. სულზე ტკბილო შვილო, ჩემსავით ბევრი დედები არიან, რომლებიც შვილებმა დატოვეს. ყოველ წამს მაგონდება შენი უკანასკნელი სიტყვები. რატომ შენ არ დამიტოვე, შვილო, მაშინ ვიქნებოდი ბედნიერი დედა, ახლა კი უაზროდ, ფიქრებში გახვეული მაგონდები, როგორ გეფერებოდი, გაელერსებოდი. შვილო, 7 ოქტომბერი შენი დაბადების დღეა. გილოცავ, ჩემო დიდი ტკივილო, მოვალ შენს საფლავზე, მოგიტან ყვავილებს, დაგიტოვებ. უკვე 6 თვე გავიდა. მწარედ მასხენდება აღდგომის დღე, ნათელი პარასკევი. სიცოცხლისთვის იბრძოდე, ძლიერი იყავი, მაგრამ სიკვდილი ვერც შენ დაამარცხებ და ვერც ჩვენ. ყველა უძლურები აღმოჩნდით. არაფერი დაგაკელით, მაგრამ ამაოდ. შენ ველარაზინ გხედავს ხელოვნების სკოლაში - ყველა შედგაგოგს ახსოვხარ და გიხსენებენ ყოველ წამს. ყველასთან კეთილი და თბილი იყავი. 34 წელი ემსახურე ბავშვებს. მადლობას გიხდ, შვილო, შედგაგოგური მოღვაწეობისთვის. ენატრები შენს ძმას, მურადის, შენს შვილებს, შენს დეიდებს. ყველა გილოცავს დაბადების დღეს. ჩემთვის 7 ოქტომბერი შავად დაღამდება.



წმინდა სანთელით ვევედრები უფალს, ღირსეულად დაგიმკვიდროს ადგილი სასუფეველში. ნათელში მყავდი, შვილო, მუდამ ჩემთან ხარ და იქნები. შენი დედა ლილი და ძმა მურადი ქალაქშია. ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ადმინისტრაცია ღრმა მწუხარებით იუნყება, რომ გარდაიცვალა ღვანლმოსილი პედაგოგი გულანშარ იაკობიშვილი და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

„ეტალონის“ მონაწილე მოსწავლეები შიარპის

საჯარო სკოლებში ყველაზე მასშტაბური საგანმანათლებლო პროექტის, ინტელექტ-ჩემპიონატ „ეტალონის“ I ეტაპი-ტესტირება დაიწყო. „ეტალონი მოსწავლის“ ტიტულის დასაუფლებლად მონაწილეები თავზრუდამხვევ კონკურსში უკვე აქტიურად ჩაებნენ. 26 სექტემბერს I ეტაპის ტესტირება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ჩატარდა. II ეტაპი კი 10 ოქტომბერს გაიმართება. სამზადისში საგანმანათლებლო სექტორთან ერთად ადგილობრივი ხელისუფლებაცაა ჩართული.

დათ უკვე პასუხები. ყველას გამარჯვება სურს. გასულ წელთან შედარებით წელს უფრო მეტმა მოისურვა მონაწილეობა. მეორე, რაიონული ტური ჩვენს სკოლაში ჩატარდება და ყველას ვუგულშემატკივრებთ, თუმცა, რა თქმა უნდა, იმედი გვაქვს, რომ მეორე ტურში ჩვენი მოსწავლე გაიმარჯვებს“.



მიუხედავად იმისა, რომ როგორც თავად აღნიშნეს, რთული კითხვები იყო. იმდენად დაინტერესებულნი არიან ამ პროექტით, რომ ტესტირების შემდეგაც კითხვებსა და სწორ პასუხებზე საუბრობდნენ. მათ მეორე ტურში აუცილებლად აქტიურად ვუგულშემატკივრებთ“.

საც მალალ შედეგებს ვაჩვენებთ“.

იოსებ ბიბინიძე (ფიროსმანის საჯარო სკოლის დირექტორი): „მოსწავლეები მობილიზებული იყვნენ და მათ დიდი ინტერესი და მოტივაცია გამოიჩინეს. მეორე ტურისთვისაც მზად ვართ. აღვნიშნავ, რომ „ეტალონის“ ინტელექტ-ჩემპიონატში პირველად არ ვმონაწილეობთ. ეს პროექტი ძალიან კარგია, რადგან ბავშვების უფრო მეტ განათლებას უწყობს ხელს“.

ეთარ ზურბიაძე (დედოფლისწყაროს რესურსცენტრის უფროსი): „ტესტირებამ ძალიან კარგად ჩაიარა. პედაგოგებიც მომზადებული იყვნენ, რადგან პირველად არ ატარებდნენ. მე პირადად პროცესს ორ სკოლაში დავეხსარი და აღვნიშნავ, რომ ყველაფერი ორგანიზებული გახლდათ. მოსწავლეებმა დიდი ინტერესითა და სიამოვნებით იმუშავეს. „ეტალონის“ ინტელექტ-ჩემპიონატი ნიჭისა და ცოდნის გაღრმავების ნახალისებისთვის ძალიან კარგია. ბავშვებს მეტი სწავლისა და მისი გამოქვეყნების მოტივაცია უჩნდებათ. მეორე ტურში სკოლები საკუთარი გუნდების გულშემატკივრები იქნებიან და როგორც ვიცი, ტრაფარეტებს ამზადებენ. ვფიქრობთ, ჩვენი მუნიციპალიტეტიდან ამ ტურში საკმაოდ ბევრი მონაწილე იქნება“.

ირინე თეთრაძე (დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის „ეტალონის“ პედაგოგი): „ტესტირება ორგანიზებულად მიმდინარეობდა. ბავშვები ძალიან აქტიურდნენ. კარგი ქულებიც დაინერა. შესაბამისად, ჩვენი მოლოდინი გამართლდა. მეორე ტურისთვის მონაწილეებს უკვე ჩვენი პედაგოგებიც კი დაეხმარებიან - მათ აუცილებლად ვამეცადინებთ, რომ უფრო მომზადებული იყვნენ“.

მანანა ბიკაშვილი (ზემო მახანის საჯარო სკოლა, „ეტალონის“ პედაგოგი): „მოსწავლეები მოტივირებული იყვნენ და ტესტირებას ინტერესით მოეკიდნენ. კარგი ქულებიც დაინერა. შედეგებით კმაყოფილნი ვართ. მეორე ტურში მონაწილეებს აქტიურად ვუგულშემატკივრებთ“.

ლევან ტარილაძე (ფიროსმანის საჯარო სკოლის „ეტალონის“ პედაგოგი): „მოსწავლეები დადებითად იყვნენ ყობილნი და ყველას გამარჯვება სურდა. საკმაოდ კარგი ქულები დაინერა. მეორე ტურისთვის მონაწილეებს განსაკუთრებით მოვამზადებთ - ამაში მათ პედაგოგებიც დაეხმარებიან“.

თამარ თამაზაშვილი (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი): „მეორე ტური პირველ საჯარო სკოლაში ჩატარდება და ლონისძიებისთვის უკვე აქტიურად ვემზადებით. „ეტალონის“ ინტელექტ-ჩემპიონატი საუკეთესო პროექტია, რომელიც ბავშვების განათლებასა და მოტივაციას უწყობს ხელს“.

ლალი იაკობიძე-ჩაჩუაშვილი (დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის დირექტორი): „წინა წლებთან შედარებით ახლა ძალიან მალალი აქტივობა იყო. მიუხედავად ამისა, ტესტირება ორგანიზებულად ჩატარდა და საკმაოდ კარგი ქულებიც დაინერა. რაც მთავარია, მოსწავლეებს მალალი მოტივაცია აქვთ. მეორე ტურისთვის და მონაწილეთა გულშემატკივრობისთვის აქტიურად ვემზადებით. აღნიშნულში თვითმმართველობა და მოსწავლეებიც ჩაერთვებიან“.

თამარ ნაბიერიძე (ზემო ქედის №2 საჯარო სკოლის დირექტორი): „ბავშვებს კარგი განწყობა აქვთ. მალალი ქულებიც დაინერა. მეორე ტურისთვის მოსწავლეები განსაკუთრებით ემზადებიან. აღსანიშნავია, რომ შარშან ჩვენი სკოლის მოსწავლე ელენე ჩოხელი „ეტალონის“ გამარჯვებული გახდა და ამიტომ მოსწავლეები პროექტით წელს კიდევ უფრო დაინტერესდნენ. ვისურვებდით, რომ „ეტალონი“ სატელევიზიო ფორმატშიც დაბრუნდეს. ფაქტია, ინტელექტ-ჩემპიონატი მოსწავლეებს სწავლის სიყვარულს უღრმავებს“.

შეგახსენებთ, ახალი სასწავლო წლის განმავლობაში „ეტალონი“ ტრადიციულად საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტსა და თვითმმართველ ქალაქს ესტუმრება და 2018-19 სასწავლო წლის „ეტალონებს“ გამოავლენს. კონკურსი სამ ეტაპად მიმდინარეობს: პირველ ეტაპზე სკოლებში გაიმართება შესარჩევი ტესტირებები, მეორე ეტაპი ადგილზე, მუნიციპალიტეტსა თუ თვითმმართველ ქალაქში „ეტალონის“ შემოქმედებითი გუნდის სტუმრობასა და ღონისძიების ჩატარებას გულისხმობს. კონკურსი ივნისში გრანდიოზული ფინალით დაგვირგვინდება“.

ეთარ ოთარაშვილი (დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის დირექტორი): „ტესტირებამ ბრწყინვალედ ჩაიარა. მოსწავლეების მოტივაცია მაღალია და მათ შედეგების მიღებამდე აინტერესებ“.

ია ლაპიაშვილი (დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის „ეტალონის“ პედაგოგი): „ბავშვებმა ტესტირებაში მონაწილეობა აქტიურად მიიღეს. მათ კარგი განწყობა აქვთ. როგორც მოსწავლეებმა აღნიშნეს, ამ პროცესით, რომელიც მათ განვითარებას ხელს უწყობს, კმაყოფილნი დარჩნენ. მოსწავლეებმა კარგი ქულები აიღეს და მათ მეორე ტურში აუცილებლად ვუგულშემატკივრებთ. იმედს ვიტოვებთ, შემდეგ ტურებშიც ასეთი შედეგი ექნებათ“.

ნანა ბაქშიშვილი (ზემო ქედის №2 საჯარო სკოლის „ეტალონის“ პედაგოგი): „ტესტირებამ ძალიან კარგად ჩაიარა. საკმაოდ მალალი ქულებიც დაინერა. მონაწილეებს გამარჯვების იმედი აქვთ. შარშან „ეტალონის“ გამარჯვებული ჩვენი სკოლის მოსწავლე გახდა, სწორედ ამიტომ, მეტი მოტივაცია გვაქვს, რომ წელ-



ულოცავენ!

სიორ სუარიშვილ!

ჩვენო ძვირფასო და საყვარლო ვაჟუკო, გილოცავთ დაბადების მნიშვნელოვან თარიღს - 5 ოქტომბერს 20 წლის გახდა. ჯანმრთელი, ბედნიერი და გახარებული ყოფილიყავი. ამაყები არიან შენი მშობლები - ნინა და ელვაჯა, შენი ძმები: გიორგი და ნიკოლოზი, დაიკო თამარი, რადგან ჯერ სტუდენტობის მოპოვებით გაახარე, ახლა ჯარისკაცის ფარაჯა გაცვია და სამშობლოს დამცველთა რიგებში დგახარ. წარმატებები იყოს შენი ცხოვრების თანმდევი, უფალი გვარავდეს.

სიყვარულით: ნათელა ბელაშვილი, ნანა და ლამარა ჭიჭინაძე, ნანა მირაბიძე, ნუზარა, ბია, მამუკა, ზურაბი და თამარ მამუკაშვილები

იყიდება!

სამოთახიანი არასტანდარტული, კეთილმოწყობილი ბინა, ავტოფარეხით- 9 მძის ქ. №1 ბუკოს თავზე მეორე სართული.

საკონტაქტო ტელეფონი: 599 53 06 16;

ვაკანსია

ქ. დედოფლისწყაროში, სილამაზის ცენტრში, გვესაჭიროება სტილისტის, კოსმეტოლოგის, ვიზაჟის, ტატუაჟის, მასაჟის, პედიკურ-მანიკურის პროფესიონალი სპეციალისტები. სულ მალე გაიხსნება ცენტრი და ყველა ჩამოთვლილი მომსახურება პირველად იქნება განთავსებული ერთ სივრცეში. მსურველები დამიკავშირდით ნომერზე.

577 95 96 94

იყიდება ან იცვლება!

იყიდება კორპუსის სამოთახიანი ბინა ან იცვლება კერძო სახლზე.

მისამართი: რუსთაველის ქ. №4, კორპუსი 31, მე-2 სართული, ბინა 9, სოკარის მოპირდაპირე მხარეს, ავტომალაზის მალა.

555 23 26 80

ეკატერინე. ფასი შეთანხმებით.

საბა ბუნაშვილ!

ჩვენო მფარველო ანგელოზო, ვარსკლავბიჭუნა, ცქრილა და საყვარლო საბა! სულითა და გულით გილოცავთ დაბადების დღეს. 10 ოქტომბერს ოთხი წლის ხდები. უკვე დიდი ბიჭი ხარ, პაპას და ბებოს იმედო!

შენი დაბადება ღმერთის საჩუქარია ჩვენთვის, ყველაზე ძვირფასი საჩუქარი, რაც კი ქვეყანაზე არსებობს. გისურვებთ ჯანმრთელობას, უღრმეს სიხარულს, ბავშვურ სილალეს.

გაიზარდე სასახელო ვაჟუკო მშობლების, ახლობლების და სამშობლოსათვის. გვარავდეს უფალი მარადჯამს.

შენი მოსიყვარულე ბებო - იზო აფიციაშვილი და პაპა მურთაზი ნაროჯაშვილი.

იყიდება ბინა!

ქ. დედოფლისწყაროში, ცენტრალურ მაგისტრალზე, ყოფილი მესამე სკოლის (ილიაუნის ფილიალი) წინ, იყიდება ერთოთახიანი კორპუსის ბინა პირველ სართულზე, სათავსოთი. რუსთაველის ქუჩა № 116.

ფასი: 2 700 \$.

593 275 - 275

ვაკანსია

გაზეთი „შირაპი“ ინებს სტაჟირების პროგრამას კორესპონდენტისთვის და ეძებს ახალგაზრდა, კომუნიკაბელურ, ენერგიულ, შედეგებზე ორიენტირებულ კანდიდატებს, დასაქმების პერსპექტივით.

აუცილებელი მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება (სასურველია ჟურნალისტიკის განხრით);
- ქართული ენის სამეტყველო და ლიტერატურული ნორმების სრულყოფილად ცოდნა;
- სოციალური ქსელების აქტიური მომხმარებელი.

გთხოვთ, გამოგზავნოთ თქვენი CV თანხმებული ფოტოსურათით მისამართზე: gazetishiraki@gmail.com, ან მოზრანდეთ გაზეთ „შირაპის“ რედაქციაში.

მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, ფიროსმანის ქ. №18

ქირავდება!

ქ. თბილისში, გურამიშვილის ქუჩა №9-ში („დომ ბიტამდე“), მე-8 სართულზე ქირავდება ერთოთახიანი სუფთა ბინა, ფასი 450 ლარი (შეიძლება ფასზე მოლაპარაკებაც).

მსურველები დაგვიკავშირდით: 599 85 58 32

ამინდი		დედოფლისწყარო		პარასკევი		შაბათი		კვირა	
ორშაბათი 08.10	სამშაბათი 09.10	ოთხშაბათი 10.10	ხუთშაბათი 11.10	პარასკევი 12.10	შაბათი 13.10	კვირა 14.10			
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
12°	10°	13°	12°	16°	12°	16°	13°	15°	12°

გამომცემელი შპს „შირაპი“
 დირექტორი ინგა შიოლაშვილი
 რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
 წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს ავებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მწერელი); ნათელა გოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინა ჯანაშვილი (ოფის-მწერელი); მზინა ქანაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
 გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაპის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

REDAQIIS MSAMRTIA
 ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
 ტელ. 0 356 22 55-49;
 598 72-18-72 (დირექტორი)
 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.